

140  
1969

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ԳԼԽԱՎՈՐ ԳԵՂԱԿԱՆ ԿԵՆՏՐՈՆ  
1969



ՀԱՄԱԵՆՈՒԹՅԱՆ ԳԼԽԱՎՈՐ ԳԵՂԱԿԱՆ ԿԵՆՏՐՈՆ  
1969

# ამ უღამაზეს დღეს

ს ი მ ო ნ შ ა მ შ რ ი ა ნ ი

ისევ — მაისის ღიმი,  
ისევ — ჩახჩახი მზის;  
ისევ — ზეიმი მარად  
სათაყვანებელ მხარის.  
ქუჩა სავსეა ხალხით —  
ზვირთი მიჰყვება ზვირთს;  
არხევს ალისფერ ალმებს  
ვარდ-ყვავილების ქარი.

მღერის, გუგუნებს ერთხმად  
ხევი, მინდორი, მთა...  
და, სიხარულით სავსე,  
გულიც გუგუნებს, მღერის;  
ათიათასი ფერი  
ერთად აწყდება თვალს,  
ვხედავ, აქრქოლებს ხეტაც  
მძაფრი სურვილი ფრენის.

და მინდა, სწორო ჩემო,  
ამ უღამაზეს დღეს,  
ვინაც არ უნდა იყო —  
ფრანგი, ზანგი თუ შვედი,

როგორც მეგობარს ნამდვილს,  
მაგრად გართმევდე ხელს,  
როგორც მისანდო ჩემი,  
მეგულეობდე გვერდით.

ერთად გვეხუროს, მინდა,  
ცა — მოკაშკაშე სულ;  
წმინდა, წკრიალა ლაქვარდს  
შეგფოფინებდეთ ერთად;  
ერთმანეთისთვის მინდა  
არ ვიშურებდეთ სულს,  
ძენი სხვადასხვა ქვეყნის,  
ძენი სხვადასხვა ერთა.

დე, სულ თან ახლდეს შუქი  
ჩვენს ოცნებას და ფიქრს,  
შეგხვდეთ ახალი ღზენით  
უფრო მშვენიერ გაისს;  
სულ ვზვიმობდეთ ერთად,  
ყველგან — აქა თუ იქ,  
ძმობის, მშვიდობის, რწმენის  
და გამარჯვების მაისს!



საზენო  
მხსი.

956-01



ნინო  
ზენიძე.  
თბილისი  
118-0  
ს.მ. უკუკობახ  
ვახუშტის  
კვანთ  
მხსი.

ფოტო მ. იაკობაშვილისა და ნ. შირინიშვილისა.

საქართველოს ალექსანდრე ლეონიძის და ვ. ი. ლენინის  
სახელობის წითელი პროფკავშირის რეპუბლიკური  
საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი




**კამეზი**

5 • 2 • 1 • 1 • 1969

ბათუმის 43-ე წელი

საქ. კვ შპ-ის გამომცემლობა



# მეგობარი

„მეგობარი“-ს ნიშნები უკეთიათ, უბეში მწმ რაზმის შემადგენლობას სკოლის პიონერთა რაზმეულის საბჭო ამტკიცებს, მისი თვითუღი წევრი სწავლაში წარჩინებული, სანიმუშო ყოფაქცევისა და ყოველმხრივ სამაგალითო უნდა იყოს. თუ რომელიმე ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, რაზმეულის საბჭო უკან გამოიყვანს.

ალბათ ფიქრობთ, განა ასეთი რა რაზმიაო.

მესაზღვრეთა ნორჩი მეგობრები — ასე უწოდებენ ამ რაზმეულებს. ასეთი რაზმები აჭარის თითქმის ყველა სკოლაშია შექმნილი და მეტად ხალისიან საქმიანობას ეწევიან. მიზანი დიდი აქვთ და საპატიო: — შეისწავლონ სამხედრო-სასაზღვრო რეჟიმი. მათი მშობლიური კუთხის დიდი ნაწილი ხომ საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვარზე მდებარეობს. საბჭოთა საზღვარს მთელი ხალხი იცავს. ჰოდა, რა გასაკვირია, თუ ამ წმინდა პატრიოტულ მოვალეობას პიონერებმაც აუბეს მხარი.

ასეთი რაზმი თავდაპირველად ბათუმის რაიონის ერთ-ერთ სკოლაში შეიქმნა და მესაზღვრეებთან მეგობრობა მალე მთელი ამ მხრის



სამი მეგობარი

სადღესასწაულო დღეებში აჭარის ქალაქებსა და სოფლებში უთუოდ შეხვდებით მწვანეპილოტურიან ბიჭუნებსა და გოგონებს. მათ ხაკისფერი ფორმა აცვიათ, მკლავზე კი სხვადასხვა ნიშნები უკეთიათ.

მწვანე შპალი და ორი ვარსკვლავი — რაზმის უფროსისაა, მწვანე შპალი და ერთი ვარსკვლავი — ჯგუფის უფროსისა, მწვანე შპალიანები კი რაზმის წევრები არიან. მათ მკერდზე

„საზღვრის  
დამრღვევნი“  
დაავაზულნი  
არიან.



პიონერთა საამაყო საქმიანობად იქცა.

ნორჩი მესაზღვრეები: ჩავლეი-შვილი, აშიხინი, დიასამიძე, საკავე-შირო პიონერთა ბანაკის არტე-კის საგზურებით დაჯილდოვდნენ.

უკვე შვიდი წელია, რაც ბათუ-მის რაიონში გმირის — ი. ივანე ბოგოტირის სახელობის მნმ რაზ-მი მოქმედებს. მოზარდ გოგონებ-სა და ბიჭუნებს ძალზე იზიდავთ ეს სახალისო საქმიანობა. ყოველ პარასკევობით მათთან მოდის საბ-რძოლო და პოლიტიკური მომზა-დების წარჩინებული მესაზღვრე და მეცადინეობას უტარებს. პიონერები უკვე დაეუფლნენ ავტომა-ტის დაშლა-აწყობას, შეჯიბრიც მოაწყვეს — ვინ უფრო სწრაფად დაშლიდა და ააწყობდა. თავი არავის შეურცხვენია. პიონერებს განსაკუთრებით ეხალისებათ ფხვი-ერ მიწაზე აღბეჭდილი კვალის გა-მოცნობა. თურმე ნაფეხურის სი-დიდით შეიძლება პიროვნების სი-მალის განსაზღვრა, მდებარეო-ბით — ნაბიჯის მიმართულებისა, სიღრმის მიხედვით — სიძიმისა.

ნაფეხურის ფორმა კი მიგვანიშ-ნებს, ვისია ნაფეხური: ქალისა თუ მამაკაცის, ნორჩი მესაზღვრეები სწავლობენ იმ ხრიკებსა და სა-შუალებებს, რასაც საზღვრის და-მრღვენი მიმართავენ ხოლმე; ეუფლებიან ხელყუმბარებით ხმა-რების წესს, მოწყობილობას და ვარჯიშობენ ყველა იმ თვისების გამოსამუშავებლად, რაც აუცილე-ბელია ფხიზელი და მამაცი ადა-მიანისათვის.

ასეთი ხალისიანი თამაშები პიონერებს ძალიან მოსწონთ, სწორედ ამ შთაბეჭდილებებზე მოგვითხ-რობს მათი კელის გაზეთები.

მესაზღვრეებისა და მნმ რაზმე-ბის მეგობრობა მხოლოდ სამხედ-რო სასაზღვრო საქმიანობით არ ამოიწურება. ისინი ლხინშიც ერ-თად არიან. ივანე ბოგოტირის სა-ხელობის რაზმის პიონერები თავის უფროს მეგობრებს კონცერ-ტებს უმართავენ, ღვამენ სპექ-ტაკლებს, უძღვნიან თავიანთი ხე-ლით დამზადებულ საჩუქრებს. მათს ლამაზ მეგობრობას მოწმობს

ის ყურადღებაც, რომელსაც ისი-ნი ერთმანეთის მიმართ იჩენენ. თუ მნმ რაზმში რაიმე უსიამოვნება მოხდება, ან ორიანები მომ-რავლდება, ან დისციპლინას და-არღვევს რომელიმე, რაზმი თავის უფროს მეგობრებთან ერთად განიხილავს ამხანაგის დანაშაულს. მნმ რაზმის წევრები ყველგან, სა-დაც კი არიან, წესრიგს იცავენ. ამას წინათ, რაზმელმა ნათელა კა-რაგულიანმა შეამჩნია, რომ მო-ტოციკლეტს ვიღაცა უცხომ დაუ-პირა წაყვანა, მან ეს უმალვე მი-ლიციას შეატყობინა და დამნაშა-ვე იქვე დააკავეს.

მესაზღვრეთა ნორჩი მეგობრე-ბის რაზმის სიმბოლოა პატარა სა-საზღვრო ბოძი, რომელსაც თავ-თან აწერია:

„555“ ეს ნიშნავს: „საზღვარი ხუთ-ზე დავიცვათ, ხუთზე ვისწავლოთ, ხუთზე — ვიშრომოთ“. ნორჩი მა-მაცი მესაზღვრეები პირნათლად ასრულებენ თავიანთ ამ წმინდა მო-ვალეობას.

ზაფხულის არდადეგების დროს ბათუმის რაიონის საკოლმეურ-ნეოთაშორისო პიონერთა ბანაკ-ში „ცისკარაში“ ნორჩ მესაზღვრე-თა ერთი რაზმი (ორ ნაკადად) უფასოდ ისვენებს.

პიონერებს აქვთ პირობითი საგუ-შაგო, სადაც პრაქტიკულად მეცა-დინეობენ. ესენი თავიანთ სკო-ლებში ნორჩ მესაზღვრეთა რაზ-მების ინსტრუქტორ-მეთოდისტე-ბი არიან.

ტრადიციად იქცა, 28 მაისს, მე-საზღვრის დღეს, მნმ საზეიმო შეკრება დევიზით: „საზღვარს იცავს მთელი ხალხი“. ამ დღეს სტარტს იღებენ ავტოგადარბე-ნის მონაწილე ნორჩი მესაზღვრე-ები, რომლებიც გზა და გზა მთელ რიგ ღონისძიებებს ატარებენ.







გეზი სამხრეთ-დასავლეთისკენ ავი-  
დეთ...

მარშრუტი დაუსტებული გვაქვს:  
ნაპირს არც თუ დავშორდებით, ჩა-  
ვუვლით ლაზების მხარეს, რიზეს,  
პირონისს, ორიოდ დღით შევის-  
ვენებთ ტრაპეზუნდში, იქიდან სტამ-  
ბოლს ვეწვევით და ნავსაც იქვე გა-  
მოვთხოვებით. მერე ჩავჯდებით რო-  
მელიმე გემში, გავცურავთ ხმელთა-  
შუა ზღვას, ჩამოვიტოვებთ გიბლარ-  
ტარის სრუტეს, შემოვუვლით აფრი-  
კის ნაპირებს და მალე ეკვატორსაც  
გადავსერავთ... ამის შემდეგ თავი  
ქუდში გვაქვს, რა გადაეღობება ჩვენს  
მისწრაფებას მოვინახულოთ ნაოცნე-  
ბარი ქვეყნები! რა თვალწარმტაცი  
სანახაობანი გადაიშლებიან ჩვენს  
თვალწინ ვინ იცის, იქნებ თვით რო-  
ბიზონ კრუზოს უკაცრიელ კუნძულ-  
ზედაც ფეხი დავდგათ!

ძალღონეს ვიზოგავთ, ნელა მიგე-  
უავს ნავი, თანდათან ვშორდებით  
მშობლიურ კუთხეს, საყვარელ ქა-  
ლაქს. გულში მაინც სიამეა, ოღონდ  
ზოგჯერ ის გვასევდიანებს, რომ  
მშობლები შეშფოთდებიან და ძებნას  
დაგვიწყებენ... საფოსტო ყუთში ჩაგ-  
დებულ ჩვენს წერილებს მხოლოდ  
მეორე ან მესამე დღეს მიიღებენ,  
მანამდე კი ძილი დამფრთხალი ექნე-  
ბათ... თუმცა ან მერე რა დაამშვი-  
დებთ, ჩვენს ჭავრში იქნებიან... არა  
უშავს, სტამბოლიდან დეპეშებს გა-  
ვუგზავნით, გაიგებენ ჩვენს კარგად  
ყოფნას და დაწყნარდებიან...

ვერა, ვერ ველირსეთ წყნარ ოკე-  
ანეში გაფანტულ ეგზოტიკურ კუნ-  
ძულების ნახვას...

საღამო ხანი იყო, როცა იმ ად-  
გილს მივალწიეთ, სადაც ქოროხი  
ზღვას უერთდება. აქ ჭერ ზღვაში  
შერეულმა მდინარის წყალმა დაგვა-  
ტრიალა, ძლივს გამოვედით სახიფა-  
თო ზონიდან, მალე მესაზღვრეებმაც  
შეგვნიშნეს, კატერით დაგვადვენენ,  
დაგვაპატიმრეს და მეორე დღეს ბა-  
თუმში გვიკრეს თავი. ქალაქში რა  
დღე დაგვადგებოდა, რა პატივისცე-  
მით შეგვხვდებოდნენ და როგორ  
მოგვიაღერებდნენ გიმნაზიაში, ამას  
თქვენც ადვილად წარმოიდგენთ და

ამიტომ ამაზე სიტყვას არ გავაგრძე-  
ლებ.

ასე იყო და ასე დასრულდა ის  
ჩემი პირველი დიდი ოცნება, რომ-  
ლითაც გატაცებული ვიყავი თოთხმე-  
ტი წლის ასაკში.

## რა იყვნენ ღამის განხორციელები?

მართალი მოგახსენოთ, გამიჭირ-  
დება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.  
თოთხმეტი წლის ასაკში ვინ ჩამოთ-  
ვლის თავში რამდენი ოცნება უტრია-  
ლებს ბავშვს. სხვადავით მეც, ალ-  
ბათ, ბევრ რაიმეზე ვოცნებობდი და,  
ალბათ, ყველა მიამიტური იყო. რო-  
გორც ზემოთ გაამბეთ, ჩემი პირვე-  
ლი დიდი ოცნება ზღვა და შორეუ-  
ლი კუნძულები იყო. მაშინ, ცხადია,  
დანადვლიანებული ვიქნებოდი, რომ  
ნანატრის განხორციელება ვერ შეე-  
ძელი. ახლა კი მხოლოდ ტკბილ მო-  
გონებას წარმოადგენს და ჩემი გუ-  
ლუბრყვილო ბავშვობის წლებს დი-  
მილით გამახსენებს ხოლმე.

## მთავარი აღმანი ჩემ წხოვრებაში

თოთხმეტი წლის ბიჭისათვის —  
მთავარი აღამიანები, რა თქმა უნდა,  
მშობლები იქნებოდნენ. ეს სავსებით  
ბუნებრივი ამბავია.

როგორი იყო მათი გავლენა ჩემ-  
ზე, რა შევითვისე მათგან?

როგორც საერთოდ ბავშვების  
დიდ უმრავლესობას, არც მე დამ-  
კლებია დედ-მამის მზრუნველი თვა-  
ლი. ყველაზე მთავარი აღმზრდელე-  
ბი, ცხადია, ისინი იყვნენ. სკოლა  
მხოლოდ ამდიდრებს და სრულყოფს  
იმას, რასაც ოჯახში ჩაგინერგავენ  
გულსა და გონებაში. ოჯახი სამუდა-  
მო საგზაოს გაძლევს, რომლითაც შე-

ნი მომავალი ცხოვრების გრძელ-  
გზა უნდა გაიარო. დედა უმთავრე-  
სად შინ შრომას გვაჩვენებდა, ბუნებას  
გვაცნობდა და ზოგჯერ რაიმე წიგნს  
გვკითხავდა შვილებს. ახლაც სია-  
მოვნებით გავიხსენებ ხოლმე რო-  
გორმა მღელვარებამ შეგვიპყრო მე  
და ჩემი მომდევნო ძმა, როცა პირვე-  
ლად ვუსმენდით დედის მიერ წაკით-  
ხულ ილია ჭავჭავაძის პატარა პოე-  
მას „დედა და შვილს“. ვტიროდით,  
როცა დედა ეთხოვებოდა მტრისაგან  
სამშობლოს დასახსნელად ომში მიმა-  
ვალ შვილს, თან აღტაცებული ვიყა-  
ვით კიაზოს გამირობით და მის ბედს  
შევნატროდით. ნამდვილად ასე იყო  
და ის წუთები არა თუ დაუვიწყარია,  
მათ პირველად გამიღვიძეს და ვამილ-  
ვივეს ჩემი ქვეყნის სიყვარული.

მამის გავლენაც დიდი იყო ჩვენზე.  
მის შვილებზე. დავითს არასოდეს მი-  
უშარათავს მშრალი დიდაქტივისათვის.  
მშრალი ტკუისდამრიგებლობისათ-  
ვის. ის უფრო თავისი ცხოვრების  
მაგალითით გვასწავლიდა. დავითის  
მთელი ცხოვრება კი გვასწავლიდა  
უპირველესყოფისა იმას, რომ ადა-  
მიანის პატივისცემა გვქონოდა. და-  
ვითი სავსებით თანაბრად ექცე-  
ოდა სრულიად უბრალო აღამი-  
ანს და თავისი მდგომარეობით  
მალალ საფხურზე მდგარ ვინმეს.  
ხშირად იყო, სამსახურიდან შინ მო-  
სული მღელვარებით უამბობდა ხოლ-  
მე დედაჩემს იმ უსამართლობაზე,  
რაც მაინცდევ ცხოვრებაში ხდებო-  
და. ჩვენც, ბავშვები, ვისმენდით ყვე-  
ლა ამას და, რადგან მამის პატივის-  
ცემა და სიყვარული გვქონდა, გულ-  
თან ახლო ვიღებდით მისგან გაგო-  
ნიოს, ჩვენც გვძულდა ის, რაც მას  
სძულდა და გვიყვარდა ის, რაც მას  
კეთილად მიაჩნდა.

რა თქმა უნდა, იყვნენ გარემონიც,  
რომელთა გავლენის ქვეშ ჩემი ფიქ-  
რებისა და ხასიათის ფორმირება  
ხდებოდა. ბუნებით მდიდარი, საინ-  
ტერესო აღამიანი ბევრია ქვეყანაზე.  
უმეტეს შემთხვევაში აღამიანები კარ-  
გები არიან, საჭიროა მხოლოდ მათი  
გამოცნობა, დანახვა და დაახლოება.

ისეთები, რომლებსაც შემდეგში  
ზეგავლენა მოუხდენიათ ჩემზე და  
რომელთა ღრმა პატივისცემა და სიყ-  
ვარული დღემდე გამოწყვა, არა ერ-  
თი და ორია. იყვნენ ისეთებიც, რომ-  
ლებმაც წარუშლელი კვალი დასტო-  
ვეს ჩემზე. ბევრი ვინმე შემიძლია გა-  
ვიხსენო ამ შემთხვევაში. ზოგიერთი  
მათგანი ჩემი ტოლი იყო, ზოგი უფ-  
როსიც. მაგრამ ეს ხომ ცალკე მოგო-

ნების საგანია და ამიტომ გადავდებ  
მერმისისათვის.

ბ ი მ რ ბ ი კ ა ჟ ა ხ ი ძ ე

რას ვისურვებრი  
ახლა რომ  
14 წელს ვიყო?

მართალი გითხრათ, არ ვიცი რას  
ვისურვებდი... იქნებ იმასვე, რაც მა-  
შინ მენატრებოდა, როცა ბათუმში  
ვიზრდებოდი და იგივე სამი მეგობა-  
რი გვერდით მყავდა.

მაგრამ ეს ისეთი კითხვაა, რომელ-  
შიაც, ალბათ, იგულისხმება: აშუა-  
მად, ამ ჩვენს დროში, სამოციან  
წლებში რომ თოთხმეტის ყოფილი-  
ყავიო...

რა თქმა უნდა, ახლა სხვა ოცნებე-  
ბი მექნებოდა. ალბათ, მრავალ სხვა-  
სავით კოსმოსში გაფრენაზე ვიოცნე-  
ბებდი ან და ტექნიკით გატაცებული  
ვიქნებოდი ჩემი შვილიშვილივით,  
რომელიც თავის ორ ამხანაგთან ერ-  
თად ნიადაგ რაღაც მანქანებს უკირ-  
კიტებს, ათასჯერ დაშლის და მერე  
ისევ ააწყობს ახლად ნაყიდ რადიო-  
მიმღებს, ტრანზისტორს, მაგნიტო-  
ფონს, ტელეფონის აპარატს ან სხვა  
რაიმე ნივთსა და ხელსაწყოს.

შესაძლოა ისიც, რომ მოგზაურო-  
ბით, სხვადასხვა კუთხის ნახვით და  
გაცნობით ვყოფილიყავი გატაცებუ-  
ლი. მგონი მართლაც ეს უფრო მექ-  
ნებოდა საოცნებოდ. მგონიო, იმი-  
ტომ მიჩვენებდა, რომ ჩემი ხანდაზმუ-  
ლობის მიუხედავად დღესაც არაერ-  
თხელ გამკრავს ოცნება ისევ მოვია-  
რო ჩემი საყვარელი, ჩემი წარ-  
მტაცი სამშობლოს კუთხეები.

მაგრამ ყველაზე უფრო ვინატრებ-  
დი, რომ თოთხმეტი წლის ასაკში რო-  
მანტიკოსი ვყოფილიყავი, ცხოვრების  
დიდი სიყვარული და მისი შეცნობის  
ძლიერი სურვილი მქონოდა, ორგანი-  
ზებულად გამომეყენებია თვითნებური  
დღე, სისტემა დამეცვა საკითხავი  
წიგნების შერჩევაში და სპორტი არ  
უგულვებელმეყო.

რამდენ ძვირფას, დაუბრუნებელ  
დროს უქმად ვხარჯავთ ახალგაზრ-  
დობაში, რა ბევრ რაიმეს მივალწევ-  
დით ცხოვრებაში, თოთხმეტი წლის  
ასაკში რომ ხანდახან მაინც გვეფიქ-  
რა, რომ სწორედ იმ ბედნიერ წლებ-  
ში საძირკველს ვუყურით ჩვენს მომ-  
ვალს!

### ჩვენი ჭიჭიკა ჩიტი

რა გიკვირს, რას დაფლურტულე  
ეზოს, ხეივანს, ბაღას!  
მიგიხვდი წუხილს, მერცხალო  
ბუდეს დაეძებ, — არ ჩანს!

თითქოს გზას ასცდი, სხვაგან ხარ,  
თითქოს გლაღატობს თვალი.  
დამშვიდდი, ასე ნუ ფიქრობ,  
გზაც გიპოვნია, კვალიც.

ისევ ჩვენთან ხარ, ჩვენს გვერდით,  
ჩვენი ჭიჭიკა ჩიტი.  
სახლი ავაგეთ ახალი,  
ძველზე მაღალი, დიდი.

ის შენი ბუდეც თან გაჰყვა  
იმ ჩვენს პატარა ბინას.  
ახლა ამ ახალს ხომ ხედავ,  
როგორ ქათქათებს, ბრწყინავს,

გაოცებს, ვერ გარკვეულხარ,  
რა სასწაული მოხდა,  
უნდა აიგო შენც ბუდე  
ძველზე ლამაზი, კონტა.

ახალ სახლს ბუდეც ახალი  
შეშვენის, ჩიტო ჩემო.  
რას უცდი, ბინა გამართე,  
თუნდაც კიბესთან, ზემოთ.

დაბედებოდეს ამ სახლსაც  
ბედნიერებად, ლხენად  
შენი საამო ჭიჭიკი,  
თვალისმომჭრელი ფრენა.



### იცოცხლე, პაპავ, იცოცხლე!

წავიდეთ, პაპავ, გავხედოთ,  
როგორ ხასხასებს ველი.  
რას უცდი, ხომ არ გჭირდება,  
წამოგაშველო ხელი!

ჯანს ეღაგები, მოლიხარ  
წელნატკენივით, ნულა.  
— რა კაცი დაგვიბერდაო, —  
ამბობს თავისთვის ყველა.

ეჰ, რა ყოფილა სიბერე,  
რა ცუდი ჩვევის მქონე!  
რად გეჭიდება სენივით,  
შენთან რად იჩენს ღონეს!

იქნებ არ იციც ვინა ხარ,  
რა საპატიო პაპა,  
როგორ უნთებდი ძმებს ჭირში  
ხსნის და სიცოცხლის ლამპარს;

რა გრგვინვა-ჭექით შესძარი  
მტრების ბუნაგი ბნელი  
და საყვარელი სამშობლოს  
დროშით მიადექ ბერლინს!

არა, ვერ არჩევს უთუოდ  
კაცთა დიდების ანბანს,  
თორემ სიბერე სენივით  
ხელს არ გახლებდა, ალბათ.

იცოცხლე, პაპავ, იცოცხლე,  
ლხინი გენახოს ბეგრი,  
მოყვარე მოგვმრავლებოდეს,  
შემოგვლეოდეს მტერი!



# ქაქავი

მთა  
დავითაშვილი

მხატვარი  
ზურაბ შორაჩიძე.

მ ო თ ხ რ ო ბ ა

— შენ მარტო შეფიქრიანებულს არა ჰგავდი! —  
უთხრა ჯიმიამ.

— ახლა ეგ დაიქინე. მა რასა ვგავდი?

— ელდანაკრავი უფრო მოგიხდება, ელდანაკრავსა  
ჰგავდი.

— გველი მეზიზღება, თორემ შიშით სულაც არ შემ-  
შინებია.

— ვილაცა გვკორავს, -- თქვა შაქრიამ. ცოტა ხნით  
ყველანი გაჩუმდნენ.

— შენა, ბალო. მარტოკა უნდა დაბრუნდე? —  
იკითხა ჯიმიამ.

— რა ვიცი, ქეთლი თუ აღრე გავავსე, ბიჭები რომ  
დაბრუნდებიან, იმათ გავყვები.

— ქეთლის ავსებაში ჩვენ მოგეშველებით, — მითხ-  
რა და თან ჩემს ქეთლში ჩაიხედა, — თუმცა, რალა გკლე-  
ბია, ნახევარს აგიცილებია კიდევცა.

— ჩვენ გაგიყოლებდით, მაგრამ სხვა გზით მივდი-  
ვართ, ჯერ სხვა სოფელში უნდა გავიაროთ.

„ თუ ვერავინ ვერა ვნახე, შინისკენ გზა როგორ გა-  
ვიგნო? “ — გავიფიქრე და ბიჭებს გადავხედე, რამდენიც  
არ ვეცადე, ვერ იქნა და ვერ მოვიგონე, აღრე სად შენა-  
ხა ეს ბიჭები.

— თქვენ სადაურები ხართ? — ვკითხე ბოლოს.

— როგორ თუ სადაურები, ვერა გვცნობ?

— რა ვიცი, ვერ მოვიგონეთ. ისე კი, მგონი, აღრე  
ნანახი უნდა მყავდეთ.

— აღრე ნანახი უნდა მყავდეთო, ე! თანიანთ ნოდარი  
არა ხარ შენა?

— ნოდარი ვარ.

— ჰოდა, აღარ გახსოვს, კევრზე რომ დაგისვი? —  
მითხრა საკიამ.

— მართლა, თქვენ ხომ მეკალოეები ხართ, — წამო-  
ვიძახე მე.

ახლა მომაგონდა: შარშან ბებიაჩემმა კალოზე წამი-  
ყვანა. ეს ბიჭებიც იქიდან მახსოვდნენ.

— დღეს რატომ არ გიბიათ კალო?

— კევრები არაშენდაში გავიტანეთ გასაკეთებლად.  
შინაც პირდაპირ იმიტომ არ მივდივართ, — მომიგო შა-  
ქრიამ.

ახალ ნაკვეთში გადავედი. ბიჭებმა გამალებით და-  
უწყეს მაყვალს კრეფა. მე ძლივს მივყვებოდი. სულ  
იმათ ნაკრეფში მიხდებოდა კრეფა.

— სადამოდე თუ არავინ გამოჩნდა, შინისკენ გაგი-  
ყოლებთ, — მითხრა საკიამ და დაუმატა, — მეტი რა  
ჩარაა!

— გვერდით მოგვეყე! — დამიძახა ჯიმიამ.

ჩემი ქეთლის გავსებას ცოტადა აკლდა.

— ნოდარ! — მომიბრუნდა საკია, — მიდი, თუ გინ-  
და ჩრდილში დაჯე სადმე. ინდე, შენი ქეთლის გავსებას  
აღარც არა აკლია. გადაგივსებთ და დაისვენე ცოტახანი.

— არ მინდა დასვენება.

— მთელი დღის დაღლილი ხარ, დასვენება მოგიხდე-  
ბა, — მითხრა შაქრიამაც.

— აქ მიჩვენია.

— გირჩენია და, როგორც გიჯობდეს, ისე მოიქეცი.  
შეუწუხეს ბაღს გული, ეჭე! — თქვა ჯიმიამ.

— მოშიებულები ხომ არა ხარ? — მკითხა შაქრიამ.

— იმდენი მაყვალი ვჭამე, აღარაფერი აღარ მინდა.

დაღლით მართლა ძალიან დავიღალე, მაგრამ არ მინ-  
დოდა ბიჭებს მოვცილებოდი.

„კოლიკას გარეგანისთვის რომ არ გაერთყა, ის ბი-  
ჭები უთუოდ თავისთან გამოყოლებდნენ“.

ჩემს ქეთლს შაქრიამ ბოლო მუჭა დააყარა და სიცი-  
ლით მითხრა: — ეყოფა თუ კიდევ დავუმატოთ?

ქეთლი პირთამდე იყო სავსე.

— ეყოფა, ჩასაყრელი ადგილი აღარ არის.

— რა ეყოფა, — თქვა საკიამ, — ხელით დააწეჭი,  
ცოტა დატკეპნე და მერე ისევ გაავსე. ეგრე უფრო ბევ-  
რი ჩაეტევა. თავის დახურვა იცი?

— რის თავის დახურვა?

— ქეთლისა. თავლია რომ წაიღო, მაყვალი სულ და-  
წითლდება და გაფუჭდება.

— თხილის ფოთლებს დავაფარებ.

— მაყვლისაც შეიძლება, ჩვენ მაინც თხილისა და-  
ვაფაროთ. შაქრი, შენ ბევრი გაქვს მოკრეფილი, ქენი  
სიკეთე, დაუფარე ბაღს მაყვალზე.

შაქრიას უკვე გაევსო თავისი ვედრო. მოწეულ ტოტ-  
ზე მაყვალი ბოლომდე ჩამოკრიფა, მერე ვედრო მიწაზე  
დადგა და მითხრა:

— მათხოვე შენი ქეთლი!

შაქრიამ ქეთლი გამომართვა, თავის ვედროსაც დასწვლა და ტყისკენ წავიდა. თხილებსაკენ მიმავალმა შუაგზიდან დამიძახა: თუ გინდა, შენც წამოდიო.

წავედი. შაქრია ერთ ხესთან შეჩერდა, ქეთლი და ვედრო ხესთან ახლოს დადგა და თვითონ დანა მოიმარჯვა.

— უჰ, რამდენი მაყვლებია! — წამოვიძახე მე, ახალი მაყვლიანი რომ დავინახე.

— ეგ კიდევ რა არი, ახლა ის გაჩვენა, რაც აქედან არა ჩანს, — მითხრა შაქრიამ. — უტყუო სოფელი ხომ არ ვარგა, მაგრამ ეს მაყვლიც დიდ სიკეთეს უწევს ხალხს. ბევრი ამ ომიანობის დროსა მაყვლით გადის იოლად. ჭამა, არყის გამოხდა, ქალაქს გასაყიდად წაღება... ეს დალოცვილი ყველაფერში გამოსადეგია.

შაქრიამ ქეთლს ფოთლები დააფარა, მერე ჯოხები გაასუფთავა და ფოთლებს ზევიდან გადააქვლო.

სულაც აღარ მეჩქარებოდა შინ წასვლა. ცოტა მომშივდა, თორემ არც ბებიჩემი გამიჯავრდებოდა, რად დაიგვიანეო, და არც გზის აბნევა მედარდებოდა: აღარც იმის შიში მქონდა — ვაითუ გზაში დამიღამდეს-მეთქი.

შაქრია თხილის ბუჩქებში ღრმად შევიდა. მერე მე დამიძახა: შენც მოდიო, და, როცა ახლოს მივედი, თხილის ყლორტებზე მანიშნა:

— რომელი მოგწონს, ამოირჩიე და დაგიჭრელებ.

— აი, ეს ყველას სჯობია.

— ლამაზი კია, მაგრამ ცოტა სუსტია, — თქვა და ის ყლორტი მომიჭრა, რომელზეც ხელი დავუდე.

— აბა, სად გადავჭრა?

მე, ჯოხი სადაც მრუდდებოდა, იქ დავადე ხელი.

მაყვლიანისკენ გამოვბრუნდიო. ბიჭები ისევ მაყვალს კრეფდნენ. შაქრიამ ვედრო დადგა და დანა მოიმარჯვა. მერე ჯოხი დანის მოუშორებლად დაატრიალა. ჯოხს თეთრი ხაზები დააჩნდა. დანის ტრიალი რომ დაამთავრა, ქერქის შემოცლა დაიწყო ბოლოდან და თავში გავიდა, მერე ლამაზი ჭრელი ჯოხი ჰაერში დაიქნია და მითხრა:

— ამ ჯოხს გატუსვა მოუხდებოდა, მაგრამ აქ ცეცხლის დანთების დრო არ არის.

ჯოხი გამოვართვი და მადლობა გადავუხადე.

— ეგ რა სამადლობელია, — მითხრა შაქრიამ, — გავერთე კიდევცა. აი, სოფელში შინ თუ გამომივლი, ერთი კაი ჩიკორსაც გამოგიტლი.

„ნეტა ყველა სოფლელი ბიჭი შაქრიას, საკიასა და ჯიმიასნაირები იყვნენ“. — გავიფიქრე და ჯოხი ქამარში გავიჭყვე.

საკია და ჯიმია კრეფა-კრეფით გვიახლოვდებოდნენ. ჩვენ ფერდასთან ჩამოვჯექით. ჯიმიაც ჩვენთან ჩამოჯდა. საკია კი თხილებსაკენ წავიდა მაყვალზე დასაფარებელი ფოთლების მოსატანად.

ჩვენს ზევით, მთების მხარეს, ღრუბლებმა პირი შეიკრეს.

— რა დროა ახლა ნეტა? — ვიკითხე.

შაქრიამ მზეს ახედა, შუადღე კარგა ხნის გადასულიო.

უცებ ჩვენს ზემოთ რაღაცამ გაიტყალაშუნა.

— ქედნები! — წამოიძახა შაქრიამ.

— ინდე, მაგეებსა ისეთი გემრიელი ხორცი აქვთ! ახლა აქ რომ მოგვცა შემწვარი, ერთი რიგიანად დავნაყრდებოდით, — თქვა ჯიმია, მერე თავისი ზურგჩანთა მუხლისკენ მოიბრუნა, იქიდან თონის პური და ერთი კვერცი ამოიღო, პური ოთხად გაყო, ერთ ნაჭერს კვერცი დაადო, მე მომაწოდა და მითხრა:

— ვინ იცის, ფეტვის პური არც გიჭამია. ნახე, როგორი გემრიელია. ქერიც ურევია, მარტო ფეტვისა არ გეგონოს.

გემრიელი გამოდგა ფეტვის პური.

წელან, მთების მხარეს რომ ღრუბლები პირს იკრავდნენ, იქითკენ დაიქეჩა და მერე ნიავმა იმ მხრიდან კამის სუნი მოიტანა.

— ქვაკიბეები დასეტყვა, — თქვა ჯიმია.



მერე შაქრიამ გახედა მიუგეს და დააყოლა: — პო, კამის სურს სიტყვა იყოს.

ტყის პირიდან თხილის ტრტებში დატვிரთული საცია გააშინდა.

— ჩვეს სოფელს კი არ ეღირსა ნამი, — თქვა ჩიმიამ, — ვაღწავ ვაღწავ ამო-ბარე. თუ აბრე ვაგარქელა, მინდვრებიდან ფურჩის მერტ ვერაფერს ავლდებო. საყიამ მიზნებ დააჩრა თხილის ტრტებში.

— ამა, დავაფართო და წავედო, — წამოვლდა ჩიმიამ. — პატარასანი კიდევ დასავსებენო და მერე წაივლით. ამ გრილობს ვიძობს ის სკობი. ჩვერ ვეგრები მიანც არ იქნება ვაუთებებო, — თქვა საყიამ და ტრტებიდან ფოთლების ჩამოცალა შევდა.

— დავსვენოთ და, დავსვენოთ, ამა! — ჩიმიამ ისევ დაჯდა, — მანქნადამანც არც მე შეჩურბება შინა.

— სიჩქარით არავის არ ვეჩქარება, მგარამ ამა, ამ ბაღს ის ვუყოთ, — დაიწყო შაქრიამ, — ჩვერ აქედან ამოდენა ვეგრებივე ვვაქვს წსალები, მერე კიდევ, მყარები უნდა ვადავყოლოთ ცხენებსა. თან ევერები თუ მზად არ არის, იქნებ მანა დავეგვიანდეს. რავე, რომე უნა ვერბო ვიქცა.

— ასეა თუ ისე, სოფლისკენ მიმავალი თუ ვერაინა ენახებო, ისე ჩვენ უნდა ვაგვიყოლოთ ეს ხალი, — უთხრა ბიჭებს საყიამ.

— მე მგონი, ცაცხვებთან ბაღლები იქნებიან ვინმე, — თქვა ჩიმიამ.

— შეც ვგრე მგონია.

— ვეცა რომ არა, ცაცხვთან რომ მორების ჩამოსათრევი გზა ვადის, კოჭლო სოლია უნდა წამოსტეიყო დღეს მანდა ქვიშის ვასაშეუღდა... ბაღლები თუ არ იქნებიან, იმას დავტრეყოთ და ის თავად ჩაივანს სოფელში.

— მაშინ თქვენ ცხენებთან დამელოდებო და ამ ბაღს მე ჩაივინა ცაცხვებთან, — თქვა შაქრიამ.

მე ქეთლი ავიღე და წასაყელად მოვემზავე.

— ჩემს ედროს თქვენ წაიღებთ? — ითხოვა შაქრიამ.

— პო, საყიამ წამოივლიდა, — უთხრა ჩიმიამ.

— წუხელ იმისთან სიხშირე ენახებო, დღეს რამე უნდა გამხარებოდა, — თქვა საყიამ.

— წაუღარდათ აი, შაქრი, ზო ხელად, ისევ შერ წაიღე ედრო და ამის სიხშირის ვერე პატარა ვაგარბებს ნე დააყრებ.

— თუ ვგრე დამაყელე ვევიტო... —

— რას ამბობ, შაქრი! ამის სოფლის ლაპარაკს რა უყრის მხედვ. იღონებ გე ბაღლი საბედო ხალხს ჩააბარე და ვეგრისო, თუ გინდა, სოფლამდე ვიტარებ, — უთხრა საყიამ.

— მაშ, წავედით, — მომიბრუნდა შაქრიამ.

— ყარვად იუკებო.

— შენც ყარვად იუკებო, კალოებზე გამოგვიარებო, კიმიაც დამეწმეოდობა.

— თქვენ ცხენებთან დამელოდებო, ჰიანცევე გადმოვალ, — გზიდან დაუყვარა შაქრიამ.

მინდვრებზე მივსულს შაქრიამ. შაქრიამ დაწინაურდა. ქეთლმა მალე დაძლიდა. მანვე დავეწყო შაქრიას. ყარვა ხანს იხს ვიარებო, შაქრიას ხმა არ ამოვიდა. მე მის ნაფხურებზე ვაბიჯებდი და ამბი ვეკითხობოდი.

მინდვრიდან ტყისკენ გადავუბრუნდი. შაქრიამ კიდევ უბრუნდო მივიღოდა. ეტროსიდან, რასაცღა უფეროვდა, მარტო ერთხელ დაილაპარაკა და მამნივაც ის თქვა: სადილობის დრო ვაგვივიდო.

ბოლო თანდათან ვგავიწიერდა. შაქრიამ ალბათ ვაიგონა ჩემი ქუენა და ქეთლი გამომართვა. ჩვეგან შარცხნივ მიწერიარ ვაშინდა.

— აი, ამ მიწდრის ბოლოში რომ ვავალი, იქვეა ცაცხვები, — თქვა შაქრიამ. მიწდრი ვეწიარ იყო, რა ვარამ, სამავიეროდ, — იმისიტრებ, რომ ბოლო ძლიეს უნახდა.

— შენი მამა-ბიძებიან წერილი მოვლით? — მკითხა შაქრიამ.

— ბიძაჩემისგან ახლახანს მოვიდა, მამაჩემისგან კი ყარვა ხანია არ მოვივლი.

— მგაგარი ვეცაოთა ბიძაშენი. მე ყარვა მასსოფს იმისი ვიღაობა. ამ ახლომხლო მხარეში მისი წამყვი არა-

— ავე, ცაცხვები, — მიიხარა შაქრიამ და კვევით, მარჯვნივ გამხედა ცაცხვებთან ბიჭებს ჩანდნენ. ცეცხლი დაწინით და ირველო შემოსხლომოდნენ.

— ავე, სოლიცაო.

ცაცხვების შორიხლო ვილაც კაცო მუშაობდა.

— ის ხალხები ჩვენებთან არიან. სოლიცაო ზომ იყო, რუხანის მამა. მიღი იზითან და ისინი ვაგვიყოლებენ შინა. ორ გზას ნე გამიხილ ბარემ, შუნს ვაზრდასა. სანამ იქამდე მივალე, მე აქ მოვიკლი, — მიიხარა შაქრიამ და იკვლე, ბეჭობზე ჩამოვდა.

— ისეღე, კალოებზე გამოგვიარებო, თორემ ჩვენი ამბიჩავება სულ წამოვლდა, შინაც გამოიბარებო ჩიორისთვის, — მომამბო.

— ჩიორზე გამოვიგლო, მგარამ ვალოებს ვუთინი მიჩივებო, — დაუუბნე გზიდან.

— ყარგი, ჩიორისთვის იყოს, ოღონდ უშეშვალად გამოიარებო.

თავვე თითქმის სირბილით მივედიოდი, ყარვა რომ დაეცოდა შაქრიას, ქეთლს ხელი შეუწინადა და ახლა ნაბიით ვაგვერ ცაცხვებსკენ.

უკან რომ მოვხედე, შაქრიამ ისევ იყდა ბეჭობზე. მან ერთხელ კიდევ დამჩინა ხელი და აღმა ჰგან ასეუა.

ცაცხვებთან შგეროვილი ბიჭების სახები უკვე ყარ-

— ცოტაც დააცდებო, სოფლის სოფლებში იქნება ისე ვაიწოვსო, ერთმაც ვერ აჯობიო, — წარმოსტევა ლეკამ.

— ვარგანებს ეგონა, თან თუ არ ვაიყოლებდეს, ნიღარი თვითონ ვეღარ ვაიქნებდა გზას, — ვეღვინე დაიწყო.

— არა, კაცო, უნდად ვაგზინაზი, ტორემ ვაგვიარებო ნე კიდევ, მაინც, რა დამეცა ვაგვილო წამყვილარ ვეწიარ ტილია უფრო საშინო ადგილებში, მგარამ ვაგვიარებო ვევიავი.

— იმბორმე ვეგზინან ვარგანსა, რომ სულ ვაივ-ვაივ უცლო სოფელსა, — უთხრა სოლიცაო.

— ესლა მშაყატუნე თაივ? ბაბუამევედარი, ვინ იყოს, რომელ ვაგვიშინა ვაგვიშინა, — თქვა ავთარი.

— ბაბუამევედარი ხარ და პაპამევედარიც ცოტა წესიერი ილაპარაკებ, თორემ ჩვენი სახლისკენ არ ვინცა გამოიარებო? — ევლარ მოვიმბინე მე და ვაიწოვინდი.

— ე, მისულა ჩვენი ნიღარი ამოვიღებო, შენს გამოჩენას! — წამობა ვარგანმა და ავთარი მუშკალია და: — შენა ავთარა, რათა ხარ წესკალი ენის პატარონი? — რა იყო, ხეჯრბობითა ვეწიარ.

— შევირლოთ, — მიიხარა ვარგანმა.

— არ მიხდა ვერიგება, — მოეფე მე, — თითქოს შენი საყუთარი ტყე იყო, ისე დამომალე თქვენსკენ წამოსულა.

— ჩიორის ბარტყებს მოვივივან და ბარიბარში ვეყოთ.



ვინ იყო. მგონი, ვერმანდებსაც ისეთ დღეს აყრის რო...  
 ● ახლა რატომ აღარ არის ვიღაობა?  
 — ახლა ომი, მაგისტრებს ხის სცალია.  
 შაქრიამ მინდვრიდან ტყისკენ გაუხვიო. დაბურულ ტყეში გზა სტატიალი იყო ვაკაქალულო. რაც კოჩის შევეცინო, გზა უფრო დაიბურა, საედადაც უფრო ძნელი გახდა.  
 — გაიგებ? ქალაქი დაბომბილიათო, — ეთქვი მე, სოფელში ქალბები ლაპარაკობდნენ წყაროსთან და ვი ამბავი იქიდან ვიკოდი.  
 — ტყუილი იქნება. მე არაფერი ვაბიჯიო.  
 ტყეში თანდათან ვანათიდა. ცოტაც ვაგვიარებო და მინდვრებზე ვავედიო.

გად ვაგარჩიე. დათო, შალიკო, ავთარა, ტიტია, ხეთისო, სოლიკო და ლეკა ცეცხლს შემოსხლომოდნენ. ცოტა მოზობები მოგარბანი იდგა და წწილებსა სხვადასხვა. ცოტა იქით სოლიკა მუშაობდა.  
 — ნეტავი ამ სიტყეში რად უნდათ, ცეცხლს რომ შემიხედოდათ? — ვაგვიფერებ და მარჯვნივ წავედი ისე, რომ ცეცხლს პირას მსხლომობი არ დაეგნახებო. ისინი ცეცხლზე ტარობებს სწავადნენ. ვარგანის ტყვე ნახევიარ კინა წწილი ვაგვისხიდა. ცოტა მოზობებით სოლიკა ქვებსა ყრდა ორბობი.  
 — ნეტა ნიღარი რა იქნა? — თქვა ტიტია, — ვინ იყოს, ჩვენივე აბრე ვაგვისო თავისი ქეთლი და ესლა შინა-ნივ ამის მისულა.

— არ მინდა!  
 — პატარა გოლარის დავიწინა.  
 — სამხრებებსაც ვაგვიფერებ.  
 — ვაგვიფერებო.  
 უცდებ მომავონდა, ეცლებში როგორ ვაივინებო.  
 — მანც არ მინდა.  
 — მოყვივებ ჩამე? — მკითხა შალიკო.  
 — პირამდე ვაგვიფერებ.  
 — ჩვენი კი სულ ტყუილიად ავედით ზეითა. იქ ვერ ყარვა არ იყო დამწიფებულო, ესლა მოვინებოთ ვეწიარება.  
 — ასე მჭიკე ვინდა იყო, ჰიანცევიან რომ იდგა? — მკითხა ავთარი.  
 — რა ვეცი, მწყემსი ვინმე იყო ალბათ.

— ჰო, უცხო მხრისა თუ იყო, თორემ, ცნობით იქნებ ჩვენ გამოგვეცნო, ჩვენებურ მწყემსებსა და მეკალოეებს თვალდახუჭული ვცნობ.

„ ისევ ჯიბრით დამიწყეს ლაპარაკი, რაღა ვუპასუხო?“

— აქაური ხარ და ამ ერთი ბეწო სოფლის რამეები გეცოდინება, მა რაა! მე კიდევ სულ ზებირად ვიცი, ქალაქში რომელი ნომერი ტრამვაი საით მიდის.

— ეგეც შენა, ავთარ, ხომ გაჯობა! — სთქვა ტიტამ და სახე გაუბრწყინდა.

ავთარა რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ტიტამ აღარ დააცალა:

— აი, ზევით გრძლად რომ აქვს გაშვერილი, მავთულს რომ ეღება, იმას რა ჰქვია?

— ტროლეიბუსი, — დამასწრო დათომ.

— ტროლეიბუსებისაც იცი? — ისევ მე მკითხა ტიტამ.

— ვიცი, ვიცი.

— მაგის მამას ომამდე მანქანა ჰყავდა, — თქვა დათომ.

— მართლა, ბალო? — მკითხა ტიტამ და ჩემთან გადმოიჯდა.

— მართლა. საჭეზეცა ვმჯდარავარ.

ტიტიას თვალეები გაუდიდდა:

— როგორა მჯდარხარ?

— ერთხელ ერთ სოფელში წავედი. იქიდან რომ ვბრუნდებოდით, პატარა მდინარე შეგვხვდა. მამაჩემმა და შოფერმა ბანაობა დაიწყეს. მე კაბინაში დავრჩი და საჭესთან დავჯექი, ოღონდ, მანქანა ჩამქრალი იყო.

— ეგ რა საჭეზე ჯდომარა! — თქვა ლუკამ, — საჭეზე მაშინ არის კარგი, როცა მიდის.

— ეგაც საქმეა, დააცათ, — თქვა ტიტამ და თან ტარო მომაწოდა.

— საჭის ტრიალი ისე არ მომწონდა, როგორც სინათლის ანთება.

— თუ დღე იყო, როგორღა ამჩნევდი, სინათლე ენთო თუ არა? — თქვა სიცილით ავთარამ. ბიჭებმაც დაიწყეს სიცილი.

— როგორა და, გადავატრიალებდი სინათლის ასანთებს, მერე გადმოვიდოდი და ვნახავდი, ფარები ენთო თუ არა; მერე ისევ გადავატრიალებდი და ისევ ვნახავდი, ჩაქრა თუ არა. ვანთებდი და ვაქრობდი, ოღონდ, მერე კი ცუდი დღე დავადგა: შოფერმა მანქანა ველარ დაქოქა და მთელი დამე იქ დავრჩით.

ტიტიამ დაცინვით გადახედა ბიჭებს, მერე ავთარას უთხრა:

— აი ბალო! ნახე ერთი, ომამდე რა კაი ყოფაში ყოფილა! შენ კიდევ ეუბნები, ჩვენებურ მწყემსებსა და მეკალოეებს თვალდახუჭული ვცნობო, და მაგით უგებ ვითომ სიტყვასა.

— დღეს რაღა და ხვალ ვიბურთაოთ, — თქვა გარეგანმა.

ბურთი მარტო მე მქონდა სოფელში.

— თქვენთან აღარ ვითამაშებ.



— რატომ?

— ქვემოთნელებს შევპირდი.

— იმთაც ითამაშონ და ჩვენცა.

— ვნახოთ, — ვთქვი მე.

— მორჩი, გარეგან? — იკითხა სოლიკომ.

— ცოტალა დამრჩა.

გარეგანი წნელების სხეპას ამთავრებდა. იმას უცდიდნენ ბიჭები.

სოლიკას ორმოებში ქვების ჩაყრა დაემთავრებინა და ახლა დაღეული ნიჩბით ქვიშას აყრიდა. ასეთი პატარა ნიჩაბი თავის დღეში არ მენახა.

— იმას უყურეთ! რომ იტყვიან, მუშა კაცი უქმე დღესაო, ისე მოსდის: როცა მოსალამოვდა, მაშინდა მოვიდა მუშაობის ხასიათზე, — თქვა ავთარამ.

— მაშ, რაც ხანია აქა ვართ, სულ ეგრე იდგა გულხელდაკრეფილი, — კვერი დაუკრა ლუკამ.

— ნუ იცით ყველაზე დაცინვით ლაპარაკი. მაშინ ცხელოდა და ეზარებოდა. სიცხეში მუშაობა განა ადვილია! როცა აგრძლდა, ეგაც მაშინ მოვიდა მუშაობის ხასიათზე, — ვითომ შეედავა შალიკო.

— ჯერ ნიჩაბზე დახედეთ! მაღიანი ადამიანი ე მაგითა ჩაიში „პესოკს“ არ ჩაიყრის, — თქვა გარეგანმა. ბიჭებმაც სიცილი ატეხეს.

მზე ხეებს მოეფარა, აღარა ჩანდა.

გარეგანმა წნელები კონად შეკრა და ფეხზე დააყენა.

ბიჭები აიბარგნენ. ყველამ თავთავის ჭურჭელს დაავლო ხელი. გარეგანმა წნელის კონა მხარზე გაიღო, მერე ვედრო აიღო და გზას გაუდგა. სულ ბოლოს მე ავიღე ჩემი ქეთლი და ბიჭებს უკან გავყევი.

დაწალიკებული მივიდიოდით. გზაზე, ერთგან, უცნაური ფერისა და ფორმის ქვა ეყარა. რიყეზე რომ ქვა ყრია, ისეთს სულ არა ჰგავდა.

— აი, ეს ქვა უბრალო კი არ გეგონოთ, ერბოს ქვას

ეძახიან, — თქვა ტიტამ, — მანქანა რომ გადაატარო, ეგრე დაიშლება, როგორც გორახი.

— ურემი რომ გადაატარო, მაშინ რაღა მოუვა? — ჰკითხა ტიტას ხეთისომ.

— ურემს გაუძლებს.

— მე პირიქითა მგონია, — თქვა ავთარამ.

— რას ამბობ, ბიჭო, მანქანის ძალა და ურემის ძალა ერთია? — გაცხარდა ტიტა.

— ერთი არ არის და მეც ისე მგონია, რომ ურემი უფრო დაშლის, — თქვა გარეგანმა.

— სხვაგან არსადა სთქვა, დაგცინებენ.

— მე კი არა, შენ დაგცინებენ.

— მაშ, კარგი, — დაიწყო ახლა ლუკამ, — ზოგჯერ მანქანა რო ჩაიფლობა ხოლმე ჰყანტიანში, კამეჩებით არ გამოაქვთ? ჰოდა, კამეჩები უბია ურემში.

— სწორეზე რომელიღა სჯობია? — ჰკითხა ნიშნის-მოგებით ტიტამ.

— სწორეზეც კამეჩებზემული ურემი მირჩევნიან, — მიუგო ავთარამ.

— არცოდნა არცოდნაო. არ იცით და რა კენა. — თქვა ტიტამ.

— ტიტა, რომ გითხრან, მანქანას გაგარეცხინებთო და დილიდან საღამომდე მშიერმა მოითმინეო, დაჰყაბულდები? — ჰკითხა ღიმილით ხეთისომ.

— დაჰყაბულდება, თორემა, მანქანა თუ არ გააწმენდინეს, ისე კი არ არი ზოგჯერ დილიდან საღამომდე ლუკაუნახავი! — თქვა ავთარამ.

ტიტა პასუხის გაცემას აპირებდა, მაგრამ გარეგანმა დაასწრო:

— ტიტა, არ გინდა, ინდე, ერთი-ორი ეგ ქვა მართლა ერბოდ გადააქცია და შინ მოგცათ?

— ჩვენ შემოდგომაზე ღორს დავკლავთ და ქონი მაინც გვექნება. ერბო, აზორ, თქვენთვის ინატრო? — უბასუხა ტიტამ და ბიჭებს გამარჯვებულებით გადახედა.

— ჩვენც გვეშველება რამე, — თქვა გარეგანმა და დაუმატა: — დილას ეს რომ ჩამოვიდა ჩვენსა, ჩემს დასაძახებლად, ჩვენი ბაღლები ცარიელა შრატსა სვამდნენ. ახლა ამასა ჰგონია, რომ სულ ეგრე უსანელებლოდა ვართ. დაიცა, შე კაი კაცო, ჯერ ხომ შემოდგომა არ დამდგარა!

ერთ ხანს ყველანი გაჩუმდნენ. არც გარეგანსა და ტიტას ამოუღიათ ხმა.

შუაგორზე გასასვლელ გზას ვუახლოვდებოდით.

ფერდაში რომ გავედით, ჩრდილებმა გზა ოდნავ დააბნელეს.

— ომმა ქვეყანა დააქიმიტა, რას იზამ! — თქვა შალიკომ.

— აი, ამათ ახლაც საკმარი აქვთ, — ავთარამ ბიჭებს ჩემსკენ ანიშნა.

მე არც ის ვიცოდი, ვის რა ჰქონდა, არც ის, — ვის რა აკლდა. ჩვენ პური საკმარი გვექონდა. ორი ძროხაცა გვეყავდა. არ ვიცოდი, ეს კარგი იყო თუ ცუდი. ვიცოდი, რომ გარეგანს პატარა და-ძმები ჰყავდა და იმათ დედინაცვალი უვლიდა. მაგრამ საიდან უნდა მცოდნოდა, ასე თუ უჭირდათ!

— აქვთ და მოპარული ხომ არ აქვთ! — დაიწყო ლუკამ, — ამისი ბებია მუშაობაში ბევრ ვაჟკაცსა სჯობს. ინდე, თუ გინდა, სოლიკა, დღეს რომ მუშაობდა ცაცხვებთანა. რა სამუშაოსაც იმან მთელი დღე მონადრომა, ამისი თანია ბებია შუადღემდე მორჩებოდა...

რაც სოფელში ვიყავი, ჯერ არ გამეგონა, კარგ მუშა

კაცზე ცუდი რამე ეთქვათ.

— ეგ კი არა და, ახლა ერთი კაი კარაქგასმული თონისპური! — ინატრა სოლიკომ.

— ხავიწის ქაღებია კარგი, ხელად დაგვანაყრებდა, — მხარი აუბა შალიკომ.

— მე დილასა მშოიდა, თორემ ახლა მაყვლითაც კარგა ვარ დანაყრებული. — თქვა გარეგანმა.

— ვერც მე მოვასწარი დილას ჰამა, — დაიწყო ავთარამ. — ჩვენმა ბაღმა დამასწრო ადგომა და კერძიც იმან შეჰამა. დედაჩემს რო ვუთხარი, მე რაღა ვჰამომეთქი, იმან ესე მიპასუხა, ადრე ამდგარსა ყმაწვილსა ღმერთი უმზადებს სადილსაო. ეგ ადრე ადგა და საქმე-ლიც მაგას ეკუთვნისო. მერე, გაბრაზება რომ შემატყო, მომეფერა და მითხრა: — შვილო, ეგ გუთანზე მიღის, შენ ტყეში მაყვალს მაინც შეჰამო. ნატენი მჭადი მომცა და ეგრე გამომიშვა.

რიყეც გამოჩნდა. იმას ახლა თითქოს ფერი ჰქონდა შეცვლილი.

ხმას აღარავინ იღებდა. ამობრუნებულ საყდარსაც ჩავუარეთ და ცოტა ხნის მერე წყაროს რაკრაკი შემოგვესმა.

ქეთლის სახელურმა ხელისგული სისხლივით დამიწითლა.

რიყეში ფიჩხზე წამოსული ქალები ერთმანეთს რა-ღაცას გაჰკიოდნენ. მზის ჩასვლას ცოტალა აკლდა, მაგრამ, ჩემი ფიქრით, სოფელში მაინც დაბნელებამდე უნდა ჩავსულიყავით. დაღმართში ჯარისკაცებივით დამწკრივებულები მივდიოდით. ფეხი წამდაუწუმ მიცურდებოდა. თავში გარეგანი მიდიოდა, მერე — დათო, ავთარა, ლუკა, სოლიკო, შალიკო, ხეთისო, სულ ბოლოს — მე და ტიტა.

მე ის მიხაროდა, რომ ტყეში დღეს პირველად ვიყავი ასე შორს და თან სავსე ქეთლი მაყვალი მიმქონდა. შინ მალე მისვლა და ჩემს ლოგინში გაუხდელად დაწოლა მომინდა.

უეცრად ტიტამ წაიბორძიკა და ქვებს წამოჰკრა ფეხი.

მე აღმა, ტიტასკენ შევბრუნდი. ერთი ქვა პირდაპირ ჩემსკენ მოგორავდა. გვერდზე გადავხტი, მაგრამ თავი ველარ შევიმაგრე, წავებარბაცდი და ბილიკზე გავიშლართე.

ძლივს-ძლივობით წამოვდექი, მუხლი გადამქლეტოდა.

— ეჭვე! გაამთელა, გაამთელა! — გაჰკივლეს ბიჭებმა.

— დამბლავ! რაღა ყველა უბედურება შენ უნდა დაგემართოს! — მომამახა ავთარამ.

„რაზე ამბობენ ნეტა, გაამთელაო?“, — გავიფიქრე და ქეთლს დავუწყე ძებნა.

ჩემი ქეთლი რახრახით მიგორავდა თავქვე. გამოვუდექი. გზა დაფანტული მაყვლით შავად იყო მოფენილი. ბიჭები რომ დამეწინენ მე ცარიელი ქეთლი შეჭირა ხელში. პირველი გარეგანი მოვიდა. სახე შევებრუნე და გზას გავუყევი. ამ წუთს მარტო ყოფნა მომინდა, — მინდოდა მეტირა. ამდენი წვალების შემდეგ შინ ხელცარიელი ვბრუნდებოდი.

პატარა სანალოეში ჩავედით. კოლიკა იქ უკვე აღარ იყო. აღმართი რომ ავიარეთ, საყარის მუხებიც გამოჩნდნენ.

ბიჭები რაღაცას ლაპარაკობდნენ. მე იმათ ყურს აღარ ვუგდებდი.

— შენ მაგაზე არ დაგვიღონდე, ნოდარ, — მითხრა გულის გასაკეთებლად ლუკამ.



— რასა შერები, ხანა ვინაა არ მინდა-მეთქი! — ვიყვირე და ჩემი ქეთლისკენ წავიწვიე.

— დაიცა, ხოდარ, ახლა ძაანაც ნუ გაჭირვეულები! — მითხრა გარეგანმა და თავის ვედროდან მაყვალი ჩემს ქეთლში ჩაუშვა.

— ნუ-მეთქი, არ მინდა!

— ჰო, მარტო შენ რათა. ბიჭო, ვინ იცის თქვენი ბალები შომი-ებზევით პირდაღებულები ელიან მაგ მაყვალსა, — მომამახეს აქეთ-იქიდან.

— მეც საკმარისი დამრჩება, ეს ერთი ბეწო ქეთლი რას უზამს ამოდენა ვედროსა! — თქვა გარეგანმა, მერე მაყვლით სავსე ქეთლი მომაწოდა, თვითონ კი თავის ვედროს დაუწყო ისევ ფოთლების დაფარება.

— გინდა დავძმობილდეთ? — ვუთხარი გზაში გარეგანს.

— რას ამბობ, ვინ იცის ქალაქში იმდენი კარგი ძმობილები გაყავს, რომა!..

— არა, აქ უფრო კარგები არიან, მე შენთან მინდა დამძობილება.

„ერთი შენ დაგბნეოდა მაყვალი და ვნახავდი, დაღონ-ღებოდი თუ არა“, — გავიფიქრე.

— დასაღონებელი რა აქვს! — დაუმატა შალიკომ.

— დიდი თარსი ვინმე კი ხარ აი, ტიტი, — უსაყვედურა ავთარამ.

— სულ მაგის ბრაღია, მართლა, — დაუდასტურა დათომ.

მუხებსაც გავცდით. მზე ჩავიდა.

„შინ რომ მივალ, ნეტა ბებიას ეძინოს!“, — ვინატრე. სოფელში შევედი. მალე, ლაღოანთ ორლობეც გამოჩნდა. ჩვენს სახლამდე ცოტალა დარჩა.

— ვიღონოთ რამე, — თქვა ლუკამ.

— რა უნდა ვიღონოთ? — იკითხა ავთარამ.

— აი, ნოდარსა თითო-ოროლა მუჭა მაყვალი გადაუყუეთ.

— გადაუყუეთ, არც მე ვარ უარს, — თქვა ტიტამ.

— შენ რად იქნები უარს, სულაც შენგან რომ გადავულოთ, განა არ ეკუთვნის? — თქვა გარეგანმა.

„ნეტავი მცდიან თუ მართლა ამბობენ?“, — გავიფიქრე და ბიჭები შევათვალეირე.

— არ მინდა თქვენი მაყვალი, — ვთქვი მე, როცა დავრწმუნდი, რომ ისინი არა ხუმრობდნენ.

— რატო, ბიჭო, განა სირცხვილია, მთელი დღე იმოდენა იწვალე! გინდა იქაც არა ყოფილიყავი და ეგრე მოგვეცა, განა სათაკილოა! — მითხრა ლუკამ.

— მართალს ამბობს, რად უნდა თქვენი თითო-ოროლა მუჭა ჩაწუწული მაყვალი! ეგრე ხომ ხელებით გადატან-გადმოტანაში სულ ჩაიზილა! — თქვა გარეგანმა და ქეთლი გამომართვა.

მართალია, სახლში ხელცარიელი მისვლა მრცხვენოდა, მაგრამ ამათვის მაყვლის გამორთმევა მაინც არ მინდოდა.

გარეგანმა ქეთლი გამომართვა, კუნძზე დადგა და მერე თავის ვედროს დაუწყო თავის მოხსნა.

— აი, თქვენი სახლიცა.

— ცოტა ხანი აქ დამიცადე, — ვუთხარი, ქეთლი მიწაზე დავდგი და შინისაკენ გავიქეცი.

რომ გამოვბრუნდი, გარეგანი ისევ იქ იდგა.

— რა არის ეგა? — მკითხა როცა მივუახლოვდი.

— რა და, პურებია.

— მერე, რად გინდა?

— მაშ, მაყვალს არ წავიღებ!

გარეგანი ვედროსკენ დაიხარა.

— იცი, რა, განა გაჩუქებ, გასესხებ. სოფლელებმა ხომ იციან ერთმანეთისაგან სესხება. — ვუთხარი.

— მერე, რომ იციან! ისინი მაშინა სესხულობენ, როცა სჭირდებათ.

— თქვენც ხომ გჭირდებათ. წელან შენ თითონ არა თქვი, ჩვენი ბალები დილას ცარიელა შრატსა სვამდნენო.

— ჩემი დედინაცვალი იღონებდა რასმეს.

— ისესხე რა, გარეგან, რა მოხდება! ამ პურების ამბავი ბებიამეცა სულ არ იცის, ჩუმად ამოვიღე. ახლა თუ არ შეგიძლია ჩასესხება, როცა ომი დამთავრდება, მაშინ დამიბრუნე.

გარეგანი წელში გასწორდა, მერე მე დამაცქერდა. შევატყე, ნაწყენი იყო.

მივხვდი, რომ ზედმეტი ხვეწნა გულს უფრო დასწყვეტდა და აღარაფერი ვუთხარი.

გარეგანმა წნელის კონა ზურგზე შეიგდო.

— ბურთი გამოიტანე ხვალა, — მითხრა, მერე ვედროს დასწვდა და გზას გაუდგა.

რახან ბურთის გამოტანა მთხოვა, მაშ არაფერი სწყენია-მეთქი, გავიფიქრე.

ცოტახანს კიდევ ვუყურებდი ორლობეში მიმავალ გარეგანს. მერე, როცა თავის სახლისკენ გაუხვია, მე ჩემს ქეთლს ხელი დავტაცე და შინისკენ გავიქეცი.



დაბადების  
წ0  
წლისთავი.

# მოსკოვი გრიშაშვილი



მ ო გ ო ნ ე ბ ა

გაზაფხულის მზიანი დღე იდგა. ნაშუადღევ იყო მასწავლებელმა და მოწაფეებმა რკინიგზის სადგურში მოვიყარეთ თავი, მატარებლის მოსვლას ველოდებოდით. ამ მატარებელს პოეტი იოსებ გრიშაშვილი უნდა ჩამოჰყოლოდა.  
მეზობელი სადგურიდან ზესტაფონამდე მატარებლის მოსვლას შვიდი თუ რვა წუთი სჭირდება. ეს წუთებიც დაილია...  
ბავშვები პოეტის გამოჩენას მოუთ-

მენლად ველოდით. არც ერთი ჩვენთაგანი სახით არ ვიცნობდით და ტყუილად ვაცეცებდით თვალებს აქეთ-იქით. უცებ თვალი მოვკარი, ჩვენს მასწავლებლებს შუაში ჩაუყენებიათ ერთი დაბალ-დაბალი, თეთრი პირისახის კაცი და მზიარულად რაღაცას ელაპარაკებინან. მივხვდი: ეს იქნება-მეთქი, იოსებ გრიშაშვილი... გამართლდა ჩემი გუჟანი.  
ძალიან მინდოდა სალამოზე დასწრება, მაგრამ დიდძალი ხალხი მოაწ-

ყდა და ბავშვებისათვის ვილას ველოდით ერთი თვალის მოკვრით პოეტის სახეს ისე გამოვვითვალად დამრჩა მესხიერებაში, რომ შემდგომ, თბილისში შემომხვდა თუ არა ქუჩაში, მაშინვე ვიცანი. ხშირი სტუმარი იყო წიგნის მაღაზიებისა, თუ ახალ წიგნს დაინახავდა, აუცილებლად იყიდდა. განსაკუთრებით უყვარდა ბუკინისტურ მაღაზიებში შესვლა, იძენდა და იძენდა ძველ, ძვირფას წიგნებს.

იოსებ გრიშაშვილს ხელი სულ წიგნებით ჰქონდა დატვირთული!  
მიკვირდა: სად ინახავდა ამდენ წიგნებს.

მე მოხიბლული ვიყავი მისი ლექსებით; ახლა არ იტყვიტ, როგორ კითხულობდა თავის ლექსებს? რაღაც არაჩვეულებრივად, მხოლოდ და მხოლოდ გრიშაშვილისებურად. თითქოს ლექსი მანამდე დაწერილი კი არ ჰქონდა, მაშინ ჰქმნიდა.

ი. გრიშაშვილის ლიტერატურულ სალამოებს დიდი ძალი ხალხი აწყდებოდა, რაც არ უნდა ბევრი ლექსი წაეკითხა, მაინც არ ეშვებოდნენ, სცენაზე კვლავ და კვლავ გამოჰყავდათ... ისიც ხალისით კითხულობდა, ვიდრე სულ არ დაიქანცებოდა.

იოსებ გრიშაშვილი პირადად 1933 წელს გაეიცანი, როცა საბავშვო ჟურნალებში დავიწყე მუშაობა. გვინდოდა, რომ სახელგანთქმულ პოეტს ჩვენს „პიონერსა“ და „ოქტომბრულში“ დაეწყო თანამშრომლობა. პოეტი ხარფუხში ცხოვრობდა, ალგეთის ქუჩაზე; პატარა, საკუთარ ორსართულიან სახლში. კარგი ნაცნობივით მიმიღო. ვუთხარი მისვლის მიზეზი:

— პატივცემულო სოსო (პირად ურთიერთობაში ყველა ასე მიმართავდა), გვინდა რაიმე დაგვიწეროთ ჩვენი საბავშვო ჟურნალისათვის.

გულიანად გაიცინა.  
— მერე, მე რომ ბავშვებისათვის არა ვწერ? ვერ შევძლებ...

რამდენიმე საბავშვო ლექსი კი ჰქონდა ადრე დაწერილი, მაგრამ ალბათ; საბავშვო ლექსს თავის მოწოდებად არა სთვლიდა, მე მაინც ვთხოვე:

— ჩვენი რედაქციის კოლექტივის თხოვნაა და იქნებ, სცადოთ!

არ გაგვაწბილა, მართლაც, მოგვიტანა ლექსი „ია და ყაყაჩო“. ეს ლექსი 1935 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „პიონერში“. (№ 1-2). მალე ამას მეორე ლექსიც მოჰყვა.

ყველა მოსვლაზე ასე ამბობდა: ეს ერთი საბავშვო ლექსიც მოგიტანეთო და ბოლოს, მთელი წიგნი შექმნა. იმ ძვირფას მემკვიდრეობასთან ერთად,



რაც მან მშობელ ხალხს მიუძღვნა, ბავშვებსაც დაუტოვა ერთი მშვენიერი წიგნი.

ი. გრიშაშვილი განსაკუთრებით მზუნველობდა ნიჭიერ ახალგაზრდა დამწერებს პოეტებს, მათი კარგი ლექსები თვითონ მიჰქონდა რედაქციებში, ზოგჯერ წერილობით შუამდგომლობდა.

ერთხელ რედაქციაში ერთი ბავშვი შემოვიდა, კონვერტი გადმომცა, შიგ ერთი ლექსი და ი. გრიშაშვილის წერილი იდო, ის მწერდა:

„ძმავ ლავრენტი!

გიგზავნი ახალგაზრდა პოეტის, ფარიკო ერთელიშვილის ლექსს ელ. ჩერქეზიშვილზე. კარგი ლექსია და გთხოვ, მორიგ ნომერში გაუშვა. ელ. ჩერქეზიშვილი ბალდებსაც უყვარს და ერთი გვერდი უნდა დაუთმო ლიხას. საიუბილეო წიგნაკი გამოდის და იქიდან გააკეთებ მის ბიოგრაფიას. იქ ჩემი წერილიც დაგეხმარება.

შენი ი. გრიშაშვილი

„ალიბაბა და 40 ყაჩაღის“ თარგმანს ხვალ მოგიტან. 31 III, 1937 წ. ი. გ.

ამ წერილიდან ჩანს, თუ რა დიდი გულსყურით ეკიდებოდა იგი მომავალ თაობას და რა დიდ პატივს სცემდა ღვაწლმოსილ ადამიანებს. ელ. ჩერქეზიშვილი ხომ ჩვენი თეატრის ერთ-ერთი შესანიშნავი მსახიობი იყო.

მოსწავლე ფარიკო ერთელიშვილის შეფასებაში იგი არ შემცდარა. მართალია, იგი პოეტი არ გამხდარა, მაგრამ დღეს მეცნიერია და ჩვენს უნივერსიტეტში კითხულობს ლექსებს.

მაგონდება მეორე შემთხვევა: ერთხელ რედაქციაში ერთი ქალი მოვიდა, მას შავგვრემანი ბავშვი ახლდა. ეტყობოდა დედა-შვილი იყვნენ. კონვერტი დედამ გადმომცა. შიგ პატარა წერილი და ორი ლექსი იდო. წერილში ეწერა:

„გეთყავა, ეს ორი ლექსი, რომელსაც ახალგაზრდა პოეტი პ. თამარაშვილი მოგიტანს, კარგია და შენი ჟურნალისთვის გამოსადეგი.

გთხოვთ დაბეჭდო,

შენი ი. გრიშაშვილი“.

წავიკითხე იმ ბავშვის ლექსები, განსაკუთრებით ერთი მომეწონა და გამოვაქვეყნეთ კიდევ. ეს ბავშვი პეტრე გრუზინსკი იყო, დღეს ბევრი სასიმღერო ლექსის ავტორი და დრამატურგი.

1936 წლის აპრილი იყო. მე, ჩვენი რედაქციის მუშაკი პოეტი სანდრო ჟღენტი და მწერალი დავით შამათავა იოსებ გრიშაშვილს ვეწვიეთ.

პოეტს ორი ოთახი ეჭირა მეორე სართულზე. დაბლა სართულში კი მისი და და დისწული ცხოვრობდნენ. იქიდან თითქმის მთელი თბილისი მოჩანდა: ორთაჭალიდან დიდუბემდე. აივანზე შესვლისთანავე რაღაც არაჩვეულებრივი მოკრძალება ვიგრძენი. იატაკზე აქა-იქ წიგნები ეწყო, სკამებზეც წიგნები იდო. აივნის ერთ კუთხეში შუშაბანდთან პატარა ოთხკუთხი მაგიდა იდგა. ამ მაგიდაზე წათლილი ფანქრები ეწყო:

თურმე პოეტი ზაფხულობით ამ მაგიდასთან მუშაობდა.

აივანზე დავსხედით. გაიბა საუბარი. სიტყვა აკაკი წერეთლის თანამედროვე მწერალ გიორგი ჭალადიდეზე ჩამოვარდა, რომელსაც ეკუთვნის შესანიშნავი ლექსი „მიყვარს ფაცხა მე მეგრული“...

ამ მწერალზე სიტყვა დავით შამათავამ ჩამოაგდო (ის მაშინ გამოკვლევას წერდა გიორგი ჭალადიდელის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე). იოსებმა იმწამსვე ჭალადიდელის წიგნი გამოიტანა და ფურცვლა დაუწყო. გამიკვირდა, ისე უცებ იმდენ წიგნებში როგორც მონახა-მეთქი.

ცოტახნის მერე ოთახში შეგვიძღვა. საცხოვრებელი ბინა კი არა, მუხუმი გეგონებოდათ. კარების მოპირდაპირე კედელზე მხოლოდ სტალინის პორტრეტი ეკიდა, მეორე კედელი კი უამრავი სურათებით მოფენილი: „ძველი თბილისის ყარაჩოღელები“, „ქარგლები“, „ხელოსნები“, და „კინტოები“. ამ კედლის შუაზე პატარა მაგიდა იყო მიდგმული. მაგიდაზე უწინდელი თერძის ძველი, ვეება მაკრატელი, სტვირი და ადლი ეწყო. დანარჩენ ორ კედელზე კი გამორჩენილი ქართველი მოღვაწეების პორტრეტები ეკიდა.

ამავე ოთახში ფაქიზად გაწყობილი საწოლი იდგა. შუა ოთახში, მოზრდილი მაგიდა ახალი წიგნებით იყო სავსე. აქვე იდო ერთი პატარა წიგნი, რომლის ყდაზეც ეწერა: „ამხ. ი. ბ. სტალინის საუბარი ბ-ნ რომი ჰოვარდთან“. გადავათვალიერე, რამდენიმე ადგილზე ხაზები იყო გასმული. ეტყობოდა, პოეტს უკვე წაეკითხა და საყურადღებო ადგილები დაენიშნა. თავის ბიბლიოთეკაში მას მხატვრული ლიტერატურის გარდა, ბევრი პოლიტიკური წიგნი ჰქონდა.

მეორე ოთახიც ჟურნალებითა და გაზეთებით იყო სავსე. ოთხივე კედელზე იატაკიდან ჭერამდე აკრული იყო წიგნებით გაჭედული თაროები. პოეტი გულდასმით ჩამოჰყავდა თა-

როებს, გაგვაცნო ქართული, რუსული, სომხური, ირანული და სხვათა ლიტერატურის განყოფილებები. ცალკე ეწყო სხვადასხვა ჟურნალები და მათ შორის: „ჯეჯილი“, „ნაკადული“, „წითელი სხივი“, ჩვენი „პიონერი“ და „ოქტომბრული“. ამ ჟურნალებს არც ერთი ნომერი არ აკლდა.

— მე. მესამე ჯგუფიდან გამოვედი. ღარიბი იყო მამაჩემი. ამ უბანში არავინ არ სწავლობდა. მე კი ბევრს ვკითხულობდი, კარგადაც, ამიტომ სუფილიორადაც კი ამიყვანეს. თავიდანვე შევეუდექი პატარა ბიბლიოთეკის მოწყობას. წავიკითხავდი წიგნს და შევინახავდი. და აი, ერთი-ორი წიგნიდან ჩემი ბიბლიოთეკა რამოდენა გახდა! — გვესაუბრებოდა იოსები.

„წიგნი უმდიდრესი საუნჯეა სული-სა. იგი აფართოებს ნიჭსა და გონებას, — ამბობს ი. გრიშაშვილი ერთ თავის წერილში, — ყველაფერი, რაც კულტურულ კაცობრიობას შეუქმნია, წიგნში ბინადრობს.

გინდა ცოდნა შეიძინო?

წიგნს დაეწაფე!

წიგნი საუკეთესო მეგობარია, მეგობარი, დამხმარი, თანამგზავრი.

აი, მე, ორმოცდაათი წელიწადია, რაც წიგნებს ვიძენ და კარგა დიდი ხნავეც დავავტოვე. როგორც ფუტკარი ყვავილთა სურნელებისაგან სკას თაფლით ავსებს, ისე მეც, მთელი წლების განმავლობაში სათუთად შემინახავს კაცობრიობის ეს ძვირფასი განძი.

ჩემს ბიბლიოთეკას ბევრჯერ გაუხარებია ჩემი გული, მოუცია უდიდესი ცოდნა, გეზი, განწყობილება და სწორ გზაზე დაუყუენებია, როგორც მწერალი და მოქალაქე“.

(გაზეთი „ნორჩი ლენინელი“ 1954 წ. № 13).

ი. გრიშაშვილს ბავშვობაში არა ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ სკოლაში ევლო და განათლება მიეღო, მაგრამ წიგნების კითხვამ მას დიდი ცოდნაც მისცა და გამოცდილებაც. პოეტი ამ წიგნების საშუალებით გახდა ქართული სიტყვის ნამდვილი ჯადოქარი, საქართველოს წარსულის შესანიშნავი მცოდნე და მკვლევარი.

მე წიგნმა მიხსნა, წიგნმა გადამარჩინაო. — ამბობდა პოეტი.

ი. გრიშაშვილს არ უყვარდა წიგნის თხოვება, მასთან კი, თუნდაც მთელი კვირობით გვეკითხა, არაფერს გეტყოდა, თუ შეგატყობდა, რომ უნდა გეთხოვნა, მაშინ კარზე გაკრულ პატარა ქალაღზე სუფთად დაწერილ ლექსს წავიკითხავდა:



„მეგობრებო! ჩემს ბინაში, რომ მოდიხართ ასე ხშირად, ბოდიშს ვინძი თქვენს წინაშე, მაგრამ გეტყვით პირდაპირად: თუ არა გსურთ, რომ ჩვენს შორის უმძრახობა ჩამოვარდეს, სურნელება ჰქონდეს შმორის ჩვენს გულებში დარგულ ვარდებს, თუ არა გსურთ მძლედ და უხმოდ დამიჩაგროთ პოეტს გული, — წიგნებს ნუ მთხოვთ, წიგნებს ნუ მთხოვთ, შეისმინეთ ჩემი თქმული!“

ამდენი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, აბა, ვილა გაუბედავდა შეწუხებას!  
ი. გრიშაშვილი დიდი პატივისცემით იგონებდა ძველ პოეტებს, მაგრამ სულ სხვა იყო, როცა აკაკი წერეთელზე ლაპარაკობდა, სახე უბრწყინავდა, ტურზე ღიმილი უთამაშებდა. სოსომ პატეფონზე ფირფიტა დადო. აკაკი ალაპარაკდა, „განთიადს“ კითხულობდა. იოსებს ეს ლექსი, აკაკის ნათქვამი, მგოსნის სიცოცხლეშიც მოესმინა და ახლაც დიდი გატაცებით უსმენდა. ბოლოს დასძინა: — რა ლამაზ ქართულს ლაპარაკობს, ისევ ცოცხალი მგონია. მე დიდად მოკრძალებული ვიყავი უფროსი თაობის პოეტებთან, განსაკუთრებით აკაკის წინაშე. 1914 წელს ჩემი ლექსების წიგნი გამოვიდა. აკაკი მაშინ ბიბლიისში იმყოფებოდა, სასტუმროში იდგა. მივედი. შუა კიბეზე შემომხვდა. უკან თავისი შვილი მოჰყვებოდა, ალექსი. ბოდიში მოვიხადე. ან კი სხვა რა უნდა მეთქვა და ჩემი წიგნი მივაწოდე. ღიმილით გამომართვა და ჩემზე ალექსის უთხრა რუსულად:  
— Это молодой поэт, который гремит.

საუბარში იოსების გვარზეც ჩამოვარდა სიტყვა. მან თქვა:  
— პაპაჩემი გურიიდან გადმოსულა და ამ უბანში დასახლებულა, მე გურული მამულიაშვილების შთამომავალი ვარ, ფსევდონიმად კი, მამაჩემის სახელი, გრიშა ავირჩიე.  
— მერე, გურული კილო რომ არა გაქვთ? — გავეხუმრეთ.  
— ხარფუსში დავიბადე, ამას იქით ფეხი არ გამიდგამს და აბა გურული კილო საიდან მექნება? — ხუმრობითვე მოგვიგო პოეტმა.  
იოსებ გრიშაშვილმა საბავშვო ლექსები თავისი შემოქმედების განუყოფელ შტოდ გაიხადა. მის ყოველ პატარა ლექსსაც კი სიუჟეტი აქვს და გამოქვეყნებისთანავე ერთბაშად აიტაცებდნენ ხოლმე. მგონი ჩვენში ერთი ბავშვიც კი არ დარჩენილა, რომ ზეპირად არა სცოდნოდა მისი ლექსები: „მიყიდე“, „ონავარი“, „ჩამოჯდება მუხის ძირას“ და სხვა.  
ი. გრიშაშვილს აბა ვინ შეედრებოდა ლექსის გაჩარხვაში. თვითონ სხვებზე უკეთ იცოდა თავისი ლექსის ავ-კარგი, მაგრამ რედაქციაში რომ მოიტანდა, აუცილებლად შეგვეკითხებოდა, როგორიაო, რა შენიშვნები გაქვთო. წაითხვით აუცილებლად თვითონ უნდა წაეკითხა. პოეტს საბავშვო ლექსების წაკითხვაც ისეთი ექსტაზით უყვარდა, როგორც სადილო ლექსებისა. საბავშვო ლექსების დაწერასაც ისეთივე დიდი გულსყურით, მთელი პოეტური გატაცებით ეკიდებოდა, როგორც დიდებისათვის გამიზნულ ლექსებს.  
ერთხელ, ერთი პატარა ლექსი მოიტანა, წაიკითხა და მითხრა:  
— სათური ვერ შევარჩიე, ვითომ

„გუშავი“ მინდა დავარქვა, მაგრამ რაღაც გული მეთანადრება.  
ლექსს დავაკვირდი. პატარა ძალი თავის პატრონს სთხოვდა, მეც ყურები დამაჭერით: მეზობლის ძაღლები ჩხუბის დროს ყურებით მეწვეიანო.  
— იქნებ „მეც ყურები დამაჭერი“ დავარქვათ? — გაუბედავად შევთავაზე.  
— ეგ მეც ვიფიქრე, და, რაკი შენც ჩემს ფიქრს გაუცონადდი, ვგრე იყოს. დავარქვით ეს სათაური.  
ლექსი დაიბეჭდა ჟურნალ „ოქტომბრელში“ 1938 წელს.  
ერთხელ ქუჩაში შემომხვდა, ჩვეულებისამებრ წიგნები ჰქონდა ილიაში ამოჩრილი, სალამს მოაყოლა:  
— დღეს ბუკინისტებში შენი „ნადირ-შაჰის ხმალი“ ვიყიდე.  
მე ძალიან მესიამოვნა, რომ ი. გრიშაშვილმა ჩემი ძველი წიგნი შეიძინა.  
— ბატონო სოსო, თქვენ ყველა წიგნს ყიდულობთ!  
— წიგნზე უკეთესი რა უნდა ვიყიდო? წიგნმა გამხადა ადამიანი და ამაში ფულს როგორ დავიშურებ. ჩემთვის კი არა, სხვისთვისაც მიყიდი წიგნები. ერთხელ ბაზარში ჩავიარე, ბუკინისტებს წიგნები ჰქონდათ გაშლილი, შემოვყევი, სათითაოდ ვათვალიერებდი. ერთ ადგილზე ძვირფასი წიგნები დავინახე, გადავფურცლე, ზედ ეწერა გვარი, ვისი ოჯახიდანაც იყო გამოტანილი, — გამიკვირდა, მეცნიერი კაცი ასეთ წიგნებს როგორ შეეღია-მეთქი. ის წიგნები შევახვევინე და იმ მეცნიერის ოჯახისაკენ გავწიე.  
როცა ვუთხარი: დახმარება მინდა შემოგთავაზოთ-მეთქი, მეცნიერი გაოცდა:  
— მე რა დახმარება მინდა?!  
— მაშ ეს წიგნები რატომ გაყიდეთ? მეცნიერმა გაოცებით შეათვალიერა წიგნები. საუბარში გამოირკვა, რომ, თურმე ეს წიგნები იმის ბიბლიოთეკიდან ვილაცას უთქმელად წაედო და გაეყიდა. მეცნიერმა თავისი წიგნების დაბრუნებით ძალიან გაიხარა, ფულიც მაძლია, მაგრამ რას გამოვართმევდი.  
1938 წელს ი. გრიშაშვილმა ზედის ზედ მოგვიტანა ლექსები ონავრებზე, ზარმაცებზე, ცელქებზე. მაინც ერთი ლექსი „ზარმაცი“, რომელიც წაღვერიდან ჩამოგვიტანა, ძალიან გახმაურდა. („ოქტომბრელში“ დაიბეჭდა), სადაც კი მივდიოდით, ყველგან ამ



ლექსს კითხულობდნენ ბავშვები. თუ თვითონ პოეტს მოუხდებოდა გამოსვლა, იმასაც დაჟინებით სთხოვდნენ ამ ლექსის წაკითხვას. ერთხელ ხუმრობით ვუთხარი: სოსო, თქვენ ბავშვებში ზარბაცებს უფრო ხედავთ-მეთქი. მან გაიცინა, მაგრამ თურმე ჩემი სიტყვები გულში ჩარჩენოდა. ეს მხოლოდ მაშინ გავიგე, როცა წაღვერიდან ლექსი „ნორჩ პოეტს“ გამომიგზავნა, რომელსაც თან პატარა წერილი ახლდა: „წაღვერში მარტო „ზარბაცები“ არ არიან (იხ. ჩემი ლექსი „ჩამოჯდები მუხის ძირას“). ამას წინათ მომიტანეს თელაველი თუ ველისციხელი მოწაფის რეგული, მშვენიერი ლექსებია. რითმა, ენა, თანამედროვეობა. რამდენი ნიჭია ახალგაზრდობაში! ეს ექსპრომტი ამ ნორჩ პოეტს ეკუთვნის, შეიძლება ზოგადად ითქვას ამ ლექსის

სხვაც გაქებდა, თუ მარტო ჩემი აღმოჩენა ხარ?  
დამთავრდა თუ არა ომი, მაშინვე აღადგინეს საბავშვო ჟურნალები და გაზეთები. გაზეთ „ნორჩ ლენინელს“ ი. გრიშაშვილმა ლექსიც კი უძღვნა, რომელიც განახლებული გაზეთის პირველ ნომერში, პირველ გვერდზე დაიბეჭდა, — სათაურით „გამარჯობა, ლენინელო!“  
აი ლექსიც:

გზები გქონდა სასახელო,  
მიმოფანტე მტერთა გუნდი,  
გამარჯვებულ საქართველოს  
მერცხალივით დაუბრუნდი!  
მოხვედი და ნორჩ პატარებს  
მოუტანე სიხარული;  
გვედრებდი, თან ატარე  
ჩვენი ქვეყნის სიყვარული.

რული საღამო, სადაც იგი გამოვიდოდა, თითქმის მის იუბილედ გადაიქცეოდა ხოლმე. მაგრამ სულ სხვა იყო ი. გრიშაშვილის იუბილევები — ერთი დაბადების მესამოცე და მეორე — სამოცდამათე წლისთავის აღსანიშნავი. ეს იუბილევები თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა. თეატრი ორჯერვე გაჭედილი იყო ხალხით. გარეთაც, ქუჩაშიც აუარებელი ხალხი იდგა.

მარტო იუბილარი პოეტი კი არა, მთელი დამსწრე საზოგადოებაც ერთსულოვნად გაახარა, როცა გამოაცხადეს, რომ მთავრობამ ი. გრიშაშვილს საქართველოს სახალხო პოეტის წოდება მიანიჭა.

ი. გრიშაშვილის მშვენიერი პოეზია, მთელი მისი შემოქმედება ხომ მშობელ ხალხს ეკუთვნოდა, და როცა პოეტი სამადლობელი სიტყვით გამოვიდა, მან თავისი უნიკალური ბიბლიოთეკა სახელმწიფოს უანდერძა. მართალია, იმ ბიბლიოთეკაში მოთავსებული წიგნების ღირებულება რამდენიმე ათასი მანეთით კი არა, მილიონითაც განისაზღვრება, მაგრამ ათასჯერ მეტია ამ ბიბლიოთეკის კულტურული ღირებულება.

სწორედ ამ იუბილეს დღეებში თქვა აკადემიკოსმა შალვა ნუცუბიძემ:

— იოსებ გრიშაშვილი უბზინავალი სი პოეტია, უფრო მეტიც: პოეზიის ქურუმთა ქურუმი.

იოსებ გრიშაშვილს ბევრი ძვირფასი მეცნიერული გამოკვლევაც ჰქონდა, მაგრამ თვითონვე ამბობდა: „ერთ კარგ რითმაში არ გავცვლი მე ათას გამოკვლევას“.

იოსებ გრიშაშვილის პოეზია მუდამ იქნება ჭმუნვისა და სევდის გამქარებელი, ადამიანთა შორის სიყვარულის გამღვიძებელი და პატრიოტული გრძნობების აღმძვრელი.

1965 წლის აგვისტოს მცხუნვარე დღეებში, ნაზი, მჩქეფარე სულის პოეტის, იოსებ გრიშაშვილის გარდაცვალების ამბავი უცებ მოედო ქალაქს. ბუნების უღმობელმა კანონმა თავისი გაიტანა, დადუმდა შესანიშნავი პოეტი, სილამაზისა და სიკეთის მომღერალი. პოეტისადმი დიდი სიყვარული ხალხმა მისი დაკრძალვის დღესაც გამოსატა. უამრავი ხალხი იყო რუსთაველის პროსპექტზე. შეწყდა ტრანსპორტის მოძრაობა, მგოსანს მთაწმინდის პანთეონისაკენ მიაყვანებდნენ...



ი. გრიშაშვილი გაზეთ „ნორჩი ლენინელი“ რედაქციასთან არსაბულ ნორჩ ლიტერატორთა წრის წევრებთან. 1957 წ.

სტრიქონები სხვა დამწყებ, ნორჩ პოეტებზეც“

ახალგაზრდა პოეტო, დაგელოცოს მშობელი, კახეთივით კარგი ხარ, შაირების მწყობელი. ზოგი ოქროს დაეძებს, თხრის და აწყობს ზოდებად; ზოგიც წარსულს მისტირის, — შორს იმათი გოდება! მე პოეტებს დავეძებ — ახალგაზრდებს, ჭკვიანებს, ვინც სამშობლოს ხეხილებს სხლავს და არ აჭიანებს. შენი მწიფე ლექსები ნეტავ კიდევ მენახა...

წინსვლის ცეცხლი — გინდ იწვოდე არასოდეს გაინელო, გაიმარჯვებ, ეს იცოდე, ჩემო „ნორჩო ლენინელო!“

ბოლო დროს ი. გრიშაშვილი ლენინისა და ბელინსკის ქუჩების კუთხის სახლში ცხოვრობდა, დიდი ბინა ჰქონდა. ერთხანს აქაც წიგნებით ჰქონდა სავსე ერთი დიდი ოთახი, მაგრამ მერე ისიც ხარფუხში გადაიტანა და სული და გული სულ იქით მიუწვედა ხოლმე.

ი. გრიშაშვილი დიდად აღიარებული პოეტი იყო. დიდი და პატარა უდიდესი სიყვარულით იყვნენ გამსჭვალულნი მისდამი. ყოველი ლიტერატურ-

გვერდი  
ქვემო  
საქართველო



თინათინ კვიციანი,  
არქიტექტურის კანდიდატი.

არქიტექტურა ნაგებობის, ქალაქების მშენებლობის ხელოვნებაა. მისი მთავარი ამოცანა — ადამიანის პრაქტიკული, უტილიტარული მოთხოვნის დაკმაყოფილება მჭიდრო კავშირშია მხატვრულ შემოქმედებასთან.

არქიტექტურას ზოგჯერ „გაქვავებულ მუსიკას“ უწოდებენ. ასეთი განსაზღვრა ერთი შეხედვით უცნაურად მოგვეჩვენება: რა კავშირი უნდა ჰქონდეს არქიტექტურას მუსიკასთან? როგორ შეადარებთ ერთმანეთს ბგერასა და აგურს? რა საერთო აქვს მელოდიას ქვის კედელთან? მაგრამ აბა, ნახეთ სხვადასხვა სახის ნაგებობები (თეატრი, მონუმენტი, მაგვოლეუმი, ეგვიპტური პირამიდა) და დარწმუნდებით, რომ ისინი თქვენში სხვადასხვა ემოციას აღძრავენ: საზეიმო განწყობილებას, გლოვას, სიხარულს... მაგალითად, ისეთი შენობის არქიტექტურული ფორმები, როგორიცაა ტაძარი, მორწმუნე-ხალხში რელიგიურ ექსტაზს იწვევდა. ამასთან, რაც უფრო მკაცრი იყო რელიგიური წეს-ჩვეულება, რაც უფრო მიუწვდომელი იყო ღვთაება, მით უფრო გრანდიოზული, მონუმენტური, ხელმოუწვდენი იყო ღმერთებისადმი მიძღვნილი ნაგებობა (გაიხ-

სენთ ეგვიპტური, ანტიკური და შუასაუკუნეების ტაძრები). თქვენდაუნებლით სხვადასხვა გრძობას განიცდით ხოლმე, როდესაც საქართველოს მთავრობის სახლის თაღების საზეიმო სვეტნარს ჩაუვლით, ან როცა 300 არაგველის ძეგლთან შეჩერდებით. მაშასადამე, არქიტექტურას ისევე როგორც მუსიკას და ხელოვნების სხვა დარგებს, ემოციური ზეგავლენის უნარი შესწევს. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ ნაგებობას არა მარტო ფუნქციური, არამედ იდეური, მხატვრული მხარეც გააჩნია.

„არქიტექტორი“ ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და „მთავარ მშენებელს“ ნიშნავს, მისი ქართული შესატყვისია — ხუროთმოძღვარი. არქიტექტურა ადამიანის მოღვაწეობის უძველესი დარგია. ადამიანის ერთ-ერთი პირველი შეგნებული მოქმედება საცხოვრებლის შექმნა იყო. პირველად მან გამოქვაბულს შეაფარა თავი, მაგრამ ეს ჯერ არ იყო არქიტექტურის დასაწყისი. აი, როდესაც მან შესასვლელს ქვის ფილა ან ცხოველის ქურქი ააფარა და კარის მაგვარი რამ შექმნა, როდესაც მან შეგნებული მოქმედებით იზრუნა საცხოვრებლის

კაწრავდა ხოლმე ცხოველების თუნადირობის სცენების ამსახველ ნახატებს. ამ პირველ „სახლებში“ ადამიანები ცხოვრობდნენ, ამჟღავნებდნენ საკვებს, ჰქმნიდნენ შრომის იარაღებს...

ადამიანის ცოდნის საზღვრები თანდათან ფართოვდებოდა და სულ ნაკლებ დამოკიდებული ხდებოდა ბუნების კანონებზე. საცხოვრებლის გვერდით სხვადასხვა სახის ნაგებობები გაჩნდა: სავაჭრო მოედნები, საწყობები, ნავმისადგომები, ტაძრები, თეატრები... არქიტექტურას მეტად საინტერესო ისტორია აქვს. მისი განვითარება არ შეწყვეტილა. თქვენ, ალბათ, „მთვარისეული“ ან „საბლანეტო“ არქიტექტურის შექმნის მოწმენი ან უშუალო მონაწილენიც იქნებით.

იმისათვის, რომ არქიტექტურის ისტორიაზე წარმოდგენა ვიქონიოთ გავეცნოთ ხუროთმოძღვრების ზოგიერთ ძირითად ცნებას.

ჩვენს ქალაქებში ყოველ ნაბიჯზე წააწყდებით ახალშენებს: საცხოვრებელ სახლებს კლუბებს, სკოლებს, სტადიონებს. ჩნდება ახალი უბნები. სულ რაღაც ათიოდე წლის წინ არ იყო საბურთალოს თუ დიღმის საცხოვრებელი მასივები. ახ-

# არქიტექტურა

## „ტექნოლოგიური უსიკა“

შექმნაზე, იმ დროში უნდა ვეძიოთ არქიტექტურის დასაბამი. გამოქვაბული, კარავი, მიწური იცავდა ადამიანს ქარისაგან. დროთა განმავლობაში ადამიანმა მარტო თავშესაფარის აგებაზე კი არ დაიწყო ზრუნვა, არამედ მის მორთვაზეც. იგი გამოქვაბულის კედლებზე ამო-

ლახანს კლდეში გაიჭრა ვაკე-საბურთალოს გზა, ხევს გადააბიჯა ვარაზისხევის ქუჩამ. შეიქმნა თბილისის მეტროპოლიტენი. ცალკეული შენობების აგება, ქუჩების თუ უბნების აღმოცენება, მეტროპოლიტენის ტრასის შერჩევა შემთხვევით



მცხეთის ჯვრის ტაძარი.

ხასიათს როდი ატარებს. დიდი ხნით აღრე, ვიდრე სახლის მშენებლობა დაიწყებოდა, მას ჰქონდა განკუთვნილი ადგილი ქალაქის გეგმაზე. ასევე წინასწარ ისაზღვრება ქუჩების მიმართულება, ქალაქის ცალკეული უბნების სიდიდე, ურთიერთკავშირი, განაშენიანების ხასიათი, სართულიანობა. ეს ყოველივე კი სატრანსპორტო, ეკონომიური, სოციოლოგიური, დემოგრაფიული და მრავალი სხვა საკითხის შესწავლას მოითხოვს. ქალაქების მშენებლობის თეორიასა და პრაქტიკას ქალაქმშენებლობა ეწოდება.

ყოველ ნაგებობაში ადამიანის ცხოვრების განსაზღვრული პროცესი მიმდინარეობს: შრომა, დასვენება, კვება, სწავლა, სანახაობა, სპორტი, მკურნალობა, ვაჭრობა და მრავალი სხვა. ადამიანის მოღვაწეობის მიხედვით ნაგებობათა ნაირსახეობა შეიძლება სამ ძირითად ჯგუფად დაიყოს: საწარმოო ნაგებობები (ქარხნები, ფაბრიკები, ელსადგურები და სხვა), საცხოვრებელი შენობები (სახლები, სასტუმროები, საერთო საცხოვრებლები) და საზოგადოებრივი ნაგებობანი (თე-

ატრები, მუზეუმები, სტადიონები, საავადმყოფოები, სკოლები, კლუბები და ა. შ.).

ცალკე ჯგუფებად გამოვყოთ საკულტო და მემორიალური ნაგებობანი. საკულტო ნაგებობებს ეკუთვნის კერპთაყვანისმცემელთა, ქრისტიანების, მუსულმანების, ბუდისტების, ებრაელების და სხვათა რელიგიური წეს-ჩვეულების შესასრულებლად გამიზნული შენობები: ბაგინი, ეკლესია, მეჩეთი, სინაგოგა და მისთანანი. ცალკეული პიროვნების ხსოვნის უკვდავსაყოფად ან რაიმე ისტორიული ამბის საიდებლად აშენებულ ნაგებობას მემორიალური ეწოდება. ასეთი ნაგებობებია: ობელისკი, ტრიუმფალური თალი, საფლავის


ქვა და სხვა. 300 არაგველთა მონუმენტი სწორედ მემორიალური ნაგებობაა.

არქიტექტურის ისტორიის კითხვისას შეგვხვდებათ ტერმინი: ფორტიფიკაციული ნაგებობები. იგი სამხედრო დანიშნულების ნაგებობებს გულისხმობს. ასეთი ნაგებობები — ქალაქის გალავანი, ციხე-სიმაგრე, ციხე-დარბაზი, ტაძრის გალავანი, სადარაჯო კოშკი — უხვად არის შემორჩენილი საქართველოს ტერიტორიაზე: მაგალითად, ნარიყალას ნანგრევები, ბებრის ციხე, ანანური და მრავალი სხვა.

მაგრამ ერთი ჯგუფის ნაგებობებიც არ ჰგავს ერთმანეთს, თუნდაც ერთი და იგივე მასალით იყოს აშენებული. და მართლაც, განა შესაძლებელია ერთნაირად აშენონ შორეულ ჩრდილოეთში, სადაც ადამიანი ყინვას ებრძვის და, ვთქვათ, აფრიკაში, სადაც ყოველ ღონეს ხმარობენ მზის მცხუნვარებისაგან თავის დასაცავად? მაგრამ ნაგებობების სახესხვაობა მხოლოდ კლიმატურ პირობებზე, მხოლოდ იმაზე როდია დამოკიდებული, ჩრდილოეთშია თუ სამხრეთში აშენებული, მთის საცხოვრებელი სახლი ხომ არა ჰგავს დაბლობში აგებულ სახლს. შეადარეთ ერთმანეთს თუნდაც კოლხური და სვანუ-

რი საცხოვრებელი სახლები. არქიტექტურული ნაგებობანი შვიდრო კავშირშია გარემომცველ ბუნებასთან. ეს კავშირი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავისებურად არის გამოხატული. მრავალი ქართული არქიტექტურული ძეგლი, (მაგალითად, ჯვრის ტაძარი მცხეთასთან, ქსნის ციხე-სიმაგრე და სხვ.) თითქოსდა კლდის გაგრძელებას, დაგვირგვინებას წარმოადგენს. ზოგიერთი კი (მაგალითად, უფლისციხე, ვარძია) კლდეებთან მთლიანობაშია გაერთიანებული.

ნაგებობების სახეობათა წარმოშობაზე, შენობების გეგმარებასა და მხატვრულ სახეზე, კლიმატური და ბუნებრივი პირობების გარდა, გავლენას იხიცი ახდენს, თუ რა სახის მეურნეობას, წარმოებას მისდევენ ამა თუ იმ ადგილას. მაგალითად, ჩვენთან მთაში მეცხოველეობას მისდევენ. ბარში კი მიწათმოქმედება განვითარებულია. ამან გამოიწვია სხვადასხვა სახის სამეურნეო სადგომების აღმოცენება. მთაში სახლის პირველი სარ-



სამასარავნელთა მონუმენტი.

თული ხშირად პირუტყვისათვის იყო დათმობილი. სამაგიეროდ, სვანეთში თქვენ ვერ ნახავთ ვენახით მდიდარი კახეთისათვის დამახასიათებელ მა-

რანს. რუსეთის ზამთრის პირობებში საცხოვრებელ სახლის მთავარ ოთახს მიწისქვეშა სათავსი უკავშირდება, სადაც კარტოფილი და ხორბალი იყრება.


მაგრამ, ხომ შესაძლებელია მოვძებნოთ დედამიწაზე რამდენიმე ადგილი, სადაც ერთნაირი კლიმატური და ბუნებრივი პირობებია და ერთიდაიგივე სახის მეურნეობას მისდევენ? რა თქმა უნდა, ბულგარეთში, ფრაკიის დაბლობზე, ისევე როგორც ჩვენიში, ყურძენი და ხეხილი ხარობს და მსგავსი კლიმატია. კარპატებში თუ ალპებში მონახავთ სვანეთისათვის დამახასიათებელ ბუნებრივ პირობებს. მაგრამ არქიტექტურა, თუნდაც ერთიდაიგივე ჯგუფის შენობებისა (მაგალითად, საცხოვრებლის), განსხვავებულია: თუმცა საერთო ნიშნების მოძებნაც შესაძლებელია. რაშია საქმე? აქ თავს იჩენს ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა ნ ი, ამა თუ იმ ხალხის ზნე-ჩვეულებანი, ტემპერამენტი, ტრადიციები, მხატვრული იდეალები, რაც საუკუნეების მანძილზე ყალიბდება.

სწორედ შემოჩამოთვლილი ნიშნები — კლიმატი, ბუნება, მეურნეობა, ხალხის ნაციონალური თავისებურებანი — განაპირობებს არქიტექტურის ნაციონალურ სახეს.

რა ზოთ იქმნება შენობის მხატვრული სახე? რა გზით აღწევს ხუროთმოძღვარი შენობის განსაზღვრულ შთაბეჭდაობას? იქნებ ზოგიერთს ჰგონია, რომ შენობის მხატვრული სახე ძირითადად დეკორაციული მოტივების, ორნამენტების გამოყენებით შეიქმნება, ეს მცდარი აზრია. მართალია, ჩუქურთმით შეიძლება გამოვყოთ ესა თუ ის არქიტექტურული ფორმა ან ელემენტი, მაგრამ შენობის არქიტექტურულ სახეს განსაზღვრავს თვით არქიტექტურული ფორმები, მათი წყობა, რიტმი, ფასადების პლასტიკა, მოცულობათა ურთიერთკავშირის ხასიათი, არქიტექტურული მასშტაბი.

ტერმინი „არქიტექტურული მასშტაბი“ საგრძნობლად განსხვავდება მასშტაბის ცნების ჩვეულებრივი გაგებისაგან. ჩვეულებრივ, მასშტაბი ნიშნავს სიგრძის ერთეულის გარკვეული რაოდენობის (მაგ. 100 მეტრის) პირობით გამოსახულებას განსაზღვრულ მონაკვეთში (1 სმ-ში). არქიტექტურული მასშტაბი კი რაიმე კონკრეტულ სიდიდეს ან შეფარდებას არ გულისხმობს და, ცხადია,

რიცხობრივი სიდიდეებით არ იზომება, არქიტექტურული მასშტაბი ბევრად არის დამოკიდებული ადამიანის მიერ შენობის მოცულობის აღქმის უნარზე, თავისებურებებზე. არქიტექტურული მასშტაბის ერთ-ერთი ამოცანაა შენობის აბსოლუტური ზომების შეფარდება ადამიანისათვის ჩვეულ განზომილებისადმი. განვიხილოთ ასეთი მაგალითი:



აქ მოყვანილ ნახაზზე მოცემულია ერთიდაიგივე მოხაზულობის სამი შენობა. რომელია უფრო მაღალი? შთაბეჭდილება იქმნება, რომ მესამე. რამ გამოიწვია ასეთი პასუხი? საქმე ის არის, რომ თქვენმა თვალმა უნებურად შეუფარდა კარის ან ფანჯრის ჩვეული ზომა შენობის მთლიან მოცულობას. ასეთი პასუხი სწორი იქნებოდა, მეორე და მესამე შენობის კარის აბსოლუტური ზომა რომ ერთი და იგივე იყოს. მაგრამ ამ შემთხვევაში ორივე მოცულობა ერთნაირი ზომისაა, კარ-ფანჯრების ხვრეტების ზომები კი განსხვავებულია. სწორედ ამან შექმნა ერთ-ერთი მათგანის სიდიდის, მონუმენტურობის ილუზია. პირველი, გლუვკედლიანი მოცულობის სიდიდის განსაზღვრა მიახლოებითაც კი გაგიძნელებათ, ვინაიდან აქ ვერ ხვდებით თვალისათვის ჩვეულ განზომილებიან ელემენტებს — საფეხურებს, აივანს, კარ-ფანჯრებს. თბილისში, რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში, პიონერთა სასახლის წინ: ერთმანეთის გვერდით ორი სხვადასხვა არქიტექტურული მასშტაბის შენობა დგას — საქართველოს მუზეუმის შენობა და საცხოვრებელი სახლი. მიუხედავად იმისა, რომ საცხოვრებელი სახლი აბსოლუტური ზომებით მეტია მუზეუმის შენობაზე, ეს უკანასკნელი გაცილებით მონუმენტურია.

არქიტექტურა, ისევე როგორც ქანდაკება, სამგანზომილებიანი ხელოვნებაა. მაგრამ, არქიტექტურულ

ნაწარმოებს აგრეთვე შიდა სივრცე გააჩნია. იგი პრინციპულად განსხვავებულია სხვადასხვა ნაგებობაში და თვითმყოფადია ყოველ ცალკეულ შენობაში. შენობის შიდა სივრცეს ინტერიერი ეწოდება. ეს ტერმინი ფრანგული წარმოშობისაა და „შიდას“ ნიშნავს. ინტერიერის მხატვრულ სახეს ხშირად შენობის ფასადებზე ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვს. გაიხსენეთ ჩვენი თეატრების მაყურებელთა დარბაზების, სპორტის სასახლის, თბილისის მეტროპოლიტენის სადგურების ინტერიერები. მეტროს სადგურებში ალბათ მიაქცევდით ყურადღებას იმ გარემოებას, რომ მათი მხატვრული სახის შექმნაში მონაწილეობს მხატვრობა და ქანდაკება.

სახვითი ხელოვნება არქიტექტურასთან ურთიერთმოქმედებს არა მარტო ინტერიერების, არამედ გარე არქიტექტურული სახის გამოვლინებაშიც. საერთო მხატვრული იდეის მკაფიოდ გამოვლენის მიზნით სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის ორგანულ ურთიერთკავშირს ხელოვნების სინთეზი ეწოდება. მონუმენტური მხატვრობის ერთ-ერთი სახეობაა ფრესკა. ფრესკა განსაკუთრებული ტექნიკით შესრულებული კედლის მხატვრობაა. ტექნიკის არსი კედლის ნოტიო შელესვაზე წყლის საღებავებით მოხატვაში მდგომარეობს. მონუმენტური მხატვრობის ერთ-ერთი სახეობაა აგრეთვე მოზაიკა. აქ გამოსახულება მიიღება სხვადასხვა მასალის (მარმარილოს, მინის, კენჭების) მცირე ნაჭრების მჭიდრო შეერთებით. ფრესკა და მოზაიკა ხელოვნების უძველესი სახეობანია და მათ შეხვედრით როგორც ქართული არქიტექტურის მრავალ ისტორიულ ძეგლზე, ასევე თანამედროვე საზოგადოებრივ შენობებზე.

კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე მრავალმა ეპოქამ შეცვალა ერთურთი. ყოველ ეპოქაში, დედამიწის სხვადასხვა კუთხეში იქმნებოდა არქიტექტურის თვითმყოფადი და საინტერესო ძეგლები.



# კატაჯა

# კომუნალი



ხაქა  
ბიულნაზარინი

### მოთხრობა

უბრალო ამბავს გიყვებით. შეიძლება თქვენთვის საინტერესო არც იყოს, მაგრამ ჩემთვის კი ძალზე ძვირფასია ეს მოგონება.

ოქტომბრელი ვიყავი. მამასადამე, ჯერ კიდევ უფლება არა მქონდა ყელს წითელი ყელსახვევი მქონოდა შემოხვეული, პიონერული ფორმის ტანსაცმელი ჩამეცვა და ხელის აწევით ყველასათვის მებასუხნა:

— მზად ვარ!

პოლოსაც პიონერი იყო, ჰამიაკაც, ჩემი და ზარიკაც. მე კი მხოლოდ ოქტომბრელი ვიყავი, თანაც — ჩვენს კლასში ყველაზე ტანდაბალი.

ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგი ლუსიკა იყო, პიონერთა კოლექტივის ხელმძღვანელი კი — ამხანაგი არშო. როდესაც მწკრივში ვდგებოდით, ამხანაგი არშო ამხანაგ ლუსიკას ეტყუოდა ხოლმე:

— შენი პატარები წინ წამოიყვანე.

არშო ამას მეგობრულად ეუბნებოდა, მაგრამ მე ისე ძალიან მწყინდა ეს, რომ ლამის ავტირებულტყავი.

მე უკვე ვიცოდი პიონერული ფიცი, ვიცოდი წითელი ყელსახვევის მნიშვნელობა. ვიცოდი რატომ იყო ყელსახვევი წითელი ფერისა, მაგრამ, სიმართლე რომ გითხრათ. კარგად არ მესმოდა ერთ წიგნში წაკითხული ამბავი: „პიონერული ყელსახვევი იმიტომ არის წითელი, რომ ჩვენი საბჭოთა დროშის ნაწილია. ჩვენი

დროშა კი მუშათა კლასის სისხლით არის შეღებილი“. დიახ, მე ყველაფერი ვიცოდი, ოღონდ ვერ გამეგო, დროშა რატომ იყო სისხლით შეღებილი. ეს არც ჩემმა დამ ზარიკამ იცოდა, მაგრამ პიონერი კი იყო და თანაც რგოლის ხელმძღვანელი...

ერთხელ არშოს გადაჭრით ვუთხარი:

— პიონერად ჩამწერე.

გაიცინა:

— შენ ჯერ პატარა ხარ.

— პატარა არა ვარ, ყველაფერი ვიცი. „მე, პატარა პიონერი...“

— დაიცა. დაიცა, — შემაწყვეტინა ამხანაგმა არშომ. — ეგ არ არის მთავარი. მთავარია. პიონერის წოდებისათვის ღირსეული იყო.

— ღირსეული გავხდები. — ვუთხარი მე.

— როცა გავხდები. მაშინ მიგიღებთ.

მართალი რომ ვთქვა, არ ვიცოდი როგორ უნდა გავმხდარიყავი ღირსეული. ზარიკას ვკითხე. მან ვილაც გავროშზე და ბარიკადებზე დამიწყო ლაპარაკი.

„ბარიკადებზე, სად ქვაფენილებს, მშრომელთ უწყალო სისხლი სდიოდა...“ — ასე იწყებოდა ლექსი პატარა კომუნარზე.

ძალიან კარგი. პატარა კომუნარს ბურჟუების წინააღმდეგ უბრძოლია და ღირსეული გამხდარა, მე კი რა უნდა გამეკეთებინა, როცა ბრძოლა უკვე აღარ იყო?.. მაგრამ როგორ

მოხდა რომ პოლოსა, ჰამიაკა, ზარიკა უბარიკადოდ გავხდნენ ღირსეულები? კაცმა რომ თქვას, ჩემი და ზარიკა რა გმირია: ჩვენს მარანში მარტო ვერცკი ჩადის თავგების შიშით!

ერთი სიტყვით, უიმედო მდგომარეობაში ვიყავი. სულერთია, გმირი ვერ გავხდებოდი და ამიტომ პიონერთა ორგანიზაციაში ვინ მიმიღებდა! მართალია, ამხანაგმა ლუსიკამ აგვიხსნა, რომ კარგი სწავლა და წესიერი ყოფაქცევა იგივე გმირობა არისო და, თქვენს შორის ვინც კარგად ისწავლის და კარგი ყოფაქცევისა იქნება. ორი წლის შემდეგ შეიძლება პიონერი გავხდესო, მაგრამ მე ეს არცთუ ძალიან მჯეროდა, მეგრე კიდევ ჩვეულებრივი და გრძელი იყო ეს გზა.

მაგრამ ერთმა შემთხვევამ ეს გზა მოულოდნელად შემიმოკლა.

პიონერული კლუბი სკოლის ეზოში იყო მოთავსებული. პიონერები სცენაზე რევოლუციურ პიესებს დგამდნენ და ცოცხალ გაზეთს ასახიერებდნენ. სცენას ფარდა ჰქონდა, რომელსაც ბორჯილშემოვლებული გლობუსი ეხატა. გლობუსის გვერდით მუშა იდგა, იგი უშველებელი ჩაქუჩით გლობუსის ჯაჭვს ამსხვრევდა და გვეგონა, რომ ნელ-ნელა მცირდებოდა გლობუსის ჯაჭვი. კლუბში სასულე ორკესტრის საკრავებიც ინახებოდა

— ბუკი, ბასი და დაფდაფი...

მაგრამ კლუბის სიამაყე მაინც პიონერული ბაზის (იმ დროს ასე უწოდებდნენ რაზმს) წითელი დროშა იყო, რომელიც სცენის სიღრმეში, ქოთნებში ჩარგულ ყვავილებს შორის ელავდა. დროშაზე, ოქროსფერ ჩარჩოში, ლენინის სურათი იყო დანატული. სურათს ზემოთ ვერცხლის ასოებით ეწერა: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა. შეერთდით!“ ქვემოთაც ვერცხლის ასოებით ეწერა: „ლენინის საქმისათვის საბრძოლველად იყავით მზად!“ შემდეგ კი ჩვენი ბაზის სახელს ამოკითხავდით. პატარები კლუბში იშვიათად ვიყავით ხოლმე. იქ განუწყვეტილვ რეპეტიციები და მეცადინეობა მიმდინარეობდა, ამიტომ კარებთან ყოველთვის მცველი იდგა და ჩვენ ახლოს არ გვაკარებდა, რომ შიგ მყოფთათვის ხელი არ შეგვეშალა.

ხანძარი შუადღისას დაიწყო, როცა ყველა გაკვეთილზე ვიყავით.

თუმცა, ყველანი არა- გამოგიტყდები, რომ მასწავლებელმა ამალიამ იმ დღეს მე გაკვეთილიდან გამომაგლო, რადგან ნაზიკას თმებს ვუწეწდი. ამის გამო იყო რომ მე პირველმა დავინახე, ალი, რომელიც ბოლთან ერთად გამოდიოდა კლუბის ფანჯრებიდან.

— ხანძარია! — დავიდრიალე და მეორე სართულის აივანიდან ხის კიბე სწრაფად ჩავირბინე.

კლუბს ყოველი მხრიდან ეკიდა ცეცხლი. კარი ღია იყო. შევიხედე და დავინახე, როგორ ლოკავდა ალი ხის კედლებს. ჭერი უკვე ჭრიალებდა და პატარ-პატარა მუგუზლებად ძირს ცვიოდა. სცენის ფარდა ერთ მხარეს იყო გაწეული. მისი ფოჩები ხანძრის სუნთქვისაგან ირხეოდა. სცენის სიღრმეში, ქოთნებში ჩარგულ ყვავილებს შორის, ბაზის დროშა მოჩანდა.

ჩემს უკან სკოლის ხის კიბე ახანზარდა. მივხვდი, მოსწავლეები და მასწავლებლები მორბოდნენ კლუბისაკენ.

მე იმ დროს სულაც არ მიფიქრია, რომ ჩემს მოქმედებაში რაიმე გმირული იყო. დავინახე დროშა, ლენინის სურათი ოქროსფერ ჩარჩოში. დავინახე დროშისკენ გაჭრილი ცეცხლის ალი და შიგ შევვარდი. ჭერიდან ნაპერწკლები ცვიოდა. აუტანლად ახელოდა, მე კი გავრბოდი ცეცხლმოკიდებულ სკამებს შორის.

უკანიდან კვილი მომესმა. ამალია მასწავლებელი იყო. იგი თითქმის ტირილით მიყვიროდა:

— არამ, დაბრუნდი, ახლაც დაბრუნდი უკან!..

მაგრამ მე უკვე სცენაზე ვიყავი. სწრაფად გავქანდი დროშისაკენ. გზაზე ყვავილების ერთ ქოთანს წამოვედე და წავიქეცი.

უმაღვე წამოვხტი და დროშა ხელში ავიტაცე...

მე რომ ყველაფერს სწორედ ისე არ აგიწერდეთ, როგორც მაშინ მოხდა, ვიტყვოდი, რომ ტანსაცმელი დამეწვა, ჭერიდან ჩამოვარდნილმა მუგუზებმა ბეჭები დამწვა, ანდა დავიკვებნიდი, — მაშინ სრულებითაც არ შემშინებია-მეთქი. ჩვეულებრივად ასე სწერენ ხოლმე წიგნებში. სინამდვილეში კი მართლაც შემეშინდა, მაგრამ სრულიად უვნებლად მივალწიე კლუბის კარებამდე; იქ ზღურბლს ფეხი წამოვკარი, ძირს გავიშხლართე და... ავტირდი.

გულგახეთქილი ვიყავი. იქ მყოფნი კი იძახდნენ, რომ მე მამაცი ვარ და გამირს მიწოდებდნენ...

ფარდა დაიწვა. მასთან ერთად — მუშის გამოსახულება და გლობუსიც.



სასულე ორკესტრის საკრავები დაიბრია და გაშავდა. ერთი სიტყვით, კლუბი გადაიწვა, მეხანძრეთა რაზმი რომ მოვიდა, კლუბის ადგილზე უზარმაზარი კოცონი-ლა იყო. დროშა სამასწავლებლოში წაიღეს და კედელთან ჩამწკრივებულ ყვავილის ქოთნებს შუა მოათავსეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენი სკოლის პიონერულ ბაზას ახალი კლუბი აუშენეს.

მე იმ დროს რვა წლისა ვიყავი და, სულ ცოტა, სამი წელიწადი კიდევ უნდა მეცადა, სანამ პიონერი გავხდებოდი.

...ახლა ორმოცდაათ წელიწადს გადაცილებული ვარ, ცხოვრებაში ბევრი მწუხარება და სიხარული გადავი-

ტანე, მაგრამ ის საღამო არასოდეს დამავიწყდება.

დაჩოქილი ვიდექი. ჩემს გვერდით მებუთეკლასელებსაც მოეყარათ მუხლი. მხოლოდ მე ერთი ვიყავი მეორეკლასელი. ჩვენს თავზე ამხანაგ არშოს პიონერული დროშა ჰქონდა აღმართული და მე ამხანაგებთან ერთად ვიმეორებდი პიონერულ ფიცს:

„მე პატარა პიონერი...“

მთელ ქალაქში ერთადერთი ბიჭი ვიყავი, რომელიც რვა წლისა პიონერი გავხდი.

სომხურიდან თარგმნა  
მარინე შაგატაშვილმა.

მხატვარი ზ. შორხნიძე.



**ზარბა ლეკაშვილი**

ფოტო  
ანაგრა ინფორმაციის.

მათი წინადადებას კიდევ ამ მანაკანადი ზომებით იმართება კლასიკური სტრუქტურის მართლაც არაა-ნაირი. მათთან ხელი გაშლის ამ მხარეს.

მართლაც ასეა ლინა მანაკანის ბიუსი მანაკანის მართლაც.



მართლაც  
ბიუსი მართლაც

# სტატუსი სტრუქტურა

ბატონი მანაკანის იყო ვადა-  
გარდა.  
ყირიმის ომიც ახალი დამთავ-  
რებული იყო.  
შეგი ზღვის სანაპიროებს სტრუ-  
ქტურა თურქული წარმოშობის  
მოსახლეობა.

ფიქსირებული შეკრებივლ-  
მა რაკეტების ამოკარბა  
გლუბებმა, ლუკმა-პურის საშინე-  
ლად დღეწიდავა ვა-შარის რომ  
იქნენ მოდებული, მთელი ან-  
ლაიდივა ცხებებზე ასააღწე-  
მი, მოკვცის ოლითგან დასაღებ-  
ლი ადგილები, ვაკეზურბა მთე-  
ზე დაიქცებულ სოფლები, მამა-  
პაპათა საფლავები, დედულ-მა-  
მული. და „ღვთის“ უპირდებარე  
გზას დაადგინენ.

რამდენიმე ლტოლვილი ოჯახი,  
ვინმე ოპორტუნალი მიწა ვიპო-  
ვითო, სოჭის მიდამოებზე მიაღ-  
გა. მაგრამ მთას ნახევრი კაცი  
ვერ შეგევა ზღვის ნაპირს, მო-  
გა-მდგი, ხეობის თუგა და რაკ-  
ეტებისგან ლტოლვილი დაი-  
რილ, შეგი წართი, ბირკათი და



ფურცევილით მოდებულ, ღმე-  
რთისა და კაცისაგან მიტოვებულ  
ხეობაში დაიღობინა.  
მა შევარეს მთლებლობის  
ფაშ მშობლიური მიწა-წყობის  
აყრილა ქართულმა გლეხებმა  
ჩრდილო კავკასიის თაღი.  
ამ მიდამოებში ადრე ჯარის ნა-  
წილები, ე. წ. „აღსტრუნიები“ ვარ-  
ჯიზობდნენ თურმე. ეტყობა, სო-  
ფელსაც იმიტომ შეერქვა ევზომ

უცნაური სახელი — პლასტუნკა.  
პრავლი კორკარბი, ნაღელი  
და სიმწერი იბოლეს. შენეულ  
ბუნებასა და საყრდენს მყოფ-  
ვეტილმა ქართველებმა, მაგრამ  
„დიდ არს ძალა კაცის მარჯე-  
ნისა“. ჯერ ვიზიკარი შემოიღობა.  
ნადირის ფეხით დაღამებულ ბი-  
ლიკების ნაცვალ ორლობები  
გაჩნდა. შერე გაიტეხა ახო, ჩი-  
ყურა ვაზი, ჩაირიცხე, წამოიჭი-

მა ოდა-სახლები, აბოლდა სამ-  
ხაღში შეუცვლელი ლურჯი ხარ-  
ღის ასევა, ვაზი თითქმის ჩვენ-  
ბურად შეგდა ეშში. მოისხა ნა-  
ყოფი, დარტყრა გაშლა, მსახ-  
ლი, ქლიავი, კაკალაც გაშლა  
დასაბერტყალ მხრები და ასე ნე-  
ლინელ, ჩასულებმა დაითვისეს  
იქართობა...  
ზამთარს გაზაფხული ენაცვლ-  
ბოდა, გაზაფხულს — ხაზულნი...

გამოხდა ქაბი...  
სოფელს აკლდებოდნენ პირ-  
ველმოსახლე თავაკები, თანდა-  
თან იგარებოდა კავშირი შუბო-

ლიერ ეტობსთან, ნათესაობას-  
თან...  
მაგრამ თაობიდან თაობაში გა-  
დადიოდა მოგონება მშობლიური

კლასიკური სტრუქტურის ნაშრომი სტრუქტურა და  
გადასახე მანაკანის მართლაც და ოსტრა  
შარბინი.

მართლაც სოფელს მანაკანის მართლაც,  
თალიანი სასაბით მართლაც მართლაც

მართლაც მართლაც სტრუქტურის მართლაც,  
მანაკანის სტრუქტურის მართლაც მართლაც  
და მართლაც მართლაც მართლაც.







ჩვენ პლასტუნებში ვართ!

კუთხეზე, არ იკარგებოდა ადათი. ზნე-ჩვეულება, ისევ ისე ლაღად ყდებოდა საოცარზე საოცარი ფენომენი — ენა. მაღლიანი ენა ქართული.

იკაცებოდნენ წლები. სოფელი წერდა თავის მათიანეს.

თვალისჩინივით უვლიან აქ ყველაფერს, რაც გარდასულ დღეებთან არის დაკავშირებული.

და სოფლის ცხოვრების თავიდათავი მემკვიდრე — მოსწავლეები არიან.

საოცარი სიყვარულით გადადის ესტაფეტა ხელიდან ხელში. მოდის მოსწავლეთა ახალი თაობა, ენაცვლება მეორე... მაგრამ ტრადიცია უცვლელი რჩება, სათუთად ინახება ყოველივე სოფლის წარსულთან და დღევანდელ დღესთან დაკავშირებული.

სკოლის მუზეუმის ხელმძღვანელი მასწავლებელი თამარ ჩხეტიანი

და მუზეუმის „დირექტორი“ მერვეკლასელი ნათელა ფრუიძე, ამ ერთსაუკუნოვან მათიანეში, დიდი ციფრებით ჩაწერილ, ყველაზე მნიშვნელოვან სამ თარიღზე მიგვიითიბებენ:

1905 წელი...

აღსდგა სოფელი. სულ კუდიო ქვა ასროლინეს მეფის ჯარს. ორი დღედაღამე პლასტუნელებს ეპყრათ ხელთ სოჭი. მერე... სხვას ვის შეარჩინა მეფის რუსეთმა „ზაკონის“ დარღვევა, რომ აჯანყებულ პლასტუნელთათვის მიეცევიბინა დანაშაული. აქაო და მეფე ვარო, მიდგა და დააწიოკებინა, ააკლებინა სოფელი. „ბუნტის თავები“ ვინც კი, მოიხელთეს გადაგრეს და ციმბირი აქეთ დაატოვებინეს. გამოაკლდა სოფელს მოწინავე ადამიანები. დააკლდა მამაკაცის მარჯვენა.

1917 წელი...

რევოლუციის ტალღამ შავი ზღვიდან შემოჰკრა ამ მხარეს.

ჩრდილოეთ კავკასიაში პლასტუნელებმა ერთ-ერთმა პირველებმა გადაიგდეს თვითმპყრობელობის უღელი. სამოქალაქო ომი. ისევ დაემშვიდობნენ სოფელს ჯანმგარი ახალგაზრდები და სამი წლის შემდეგ ყველას როდი შეგებებინა შინაურები. ვაის ვუი დაერთო, 1919-ში თითქმის უმამაკაცოდ დარჩენილ სოფელში თეთრგვარდიელებმა ცოდვის კალო დაატრიალეს. მაგრამ სოფელი ცოცხლობდა...

1941 წელი...

პლასტუნეკა გერმანელებს არ დაუპყრიათ — ორიოდ ნაბიჯილა აშორებდათ ამ სოფელს. არც სახლები დაუბომბიათ, მაგრამ თითქმის ქულზე კაცი იბრძოდა ფრონტზე. 130 შინმოუსვლელი ჯარისკაცის ფოტოა ახლა გაკრული სკოლის სტენდზე. მაგრამ სოფელი ცოცხლობდა.

ცოცხლობდა და ცოცხლობს.

ახლა სოფელში 240 ქართული კომლია. აქვთ ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი (ორასადგვილიანი დარბაზით), მაღაზია, საფერწლო პუნქტი, აფთიაქი, ფურნე...

და, რაც მთავარია, სკოლა.

ქართული რვაწლიანი სკოლა.

ფაქტი ფრად მნიშვნელოვანი და მრავლისმეტყველი.

ხე ფოთოლს იცვლის ყოველ წელიწადს. ძველი ფოთლები თავისას მოჭამენ და ცვივიან, მათ ნაცვლად ახალი იბადება, ხე კი დგას და დგას. და ვითარცა ხე, მუხა, პლასტუნეკაც წლიდან წლამდე სულ უფრო იტოტება, ძლიერდება, მრავლდება.

სოჭის ავტობუსი რომ ჩამოდგა, მზე უკვე ტყის დაკბილულ ჰორიზონტს ეფარებოდა. სკოლის ეზოში კიდევ ისმოდა ბავშვების ყრია-მული. ყურს ვუგდებდი მათ და მახსენდებოდა რასულ გამზათოვის დიდებული ლექსი:

„დაე, ჰქურნადეს ადამის მოდგმას ღმერთს რაც ენები გაუჩენია, თუ ჩემი ენა ხვალ უნდა მოკვდეს მე რომ დღეს მოკვდე ის მიჩვენია“.

პლასტუნეის რვაწლიანი ქართული სკოლის მოსწავლეებთან გატარებულ ორიოდ საათზე მოგვითხრობენ ჩვენი ფოტოკორესპონდენტის ანზორ ჩიგოგიძის ეს ფოტოსურათები.

# თავის კუთხე

როგორც ცნობილია, თავისუფალი მხატვრული სახე და პრაქტიკული გამოყენება დიდი ხნის წინათ სიცილიაში ჩაისახა. სიცილიელი ქალიშვილები თავისუფალი ხელში ზეიმობდნენ ე. წ. პროზერპინების ღვინვასწავლს.

XIV-XV საუკუნეებში თავისუფალი ევროპის კონტინენტზეც გამოჩნდა. საფრანგეთში პირველად XVIII საუკუნეში შემოიღეს თავისუფალი — ყვავილების თავისებური მჭიდრო შეკვრა. ფერთა შეხამებით ერთი ტონის ყვავილებს დაჰყვებოდა გარშემოშემოწყობილი საწინააღმდეგო ტონის ყვავილები, რომელსაც სიფრიფანა ქსოვილი ჰქონდა შემოსვებული. ასეთი თავისუფალი თავისებური სახისა იყო. ძნელად შეიძლება კანონზომიერების დაცვა ყვავილის აღნაგობასა (ფორმა) და ფერთა შეხამების მხრივ, რაც თავისუფლს ზედმეტად ტვირთავდა.

საქართველოში ყვავილის სიყვარულისა და თავისუფლის შექმნის ტრადიცია ძველთაგანვე მოდის. ყვავილი ამჟღავნებდა ქართველი გლეხების სახლ-კარს, საზოგადოებასა და ხალხის თავშეყრის ადგილებში მანდილოსნები მკერდზე ყვავილების პატარა კონას იმაგრებდნენ. ცხადია, ყვავილები სამოსს გარკვეულ სილამაზეს ანიჭებდა, მაგრამ, ლაშაის გარდა, პაწაინა ყვავილთა შეკვრას ერთგვარი წინაარსიც ჰქონდა, სამოსზე სწორად დამაგრებული თავისუფალი ოჯახსმოკიდებულ პიროვნებაზე შეტყობილებდა. ქალი, რომელიც ვაჟის მიერ დანიშნული იყო, თავისუფლს ირბნებდა იმაგრებდა, ხოლო ქალიშვილს შებრუნებული სახით ჰქონდა დამაგრებული.

თანამედროვე ბინაში შთამბეჭდავ სურათს იძლევა გაშლილ ლარნაკში ან ღვინვანაწი ჩადგმული თითო-ორი ყვავილი და დეკორაციული ტონი. ეს იაპონური თავისუფლის ერთ-ერთი არანაირების (მხატვრული განლაგების) სახეა, რომელსაც „იკებანას“ უწოდებენ. ეს ხელოვნება XIV საუკუნეში ჩაისახა საეკლესიო მორთულობის სახით, შემდეგ კი საყოფაცხოვრებო საქმიანობაში ფართოდ გავრცელდა და იაპონელების ცხოვრებაში აუცილებელი ადგილი დაიკავიდა. ყოველი იაპონელის ოჯახში არსებობს ტრადიცია: მცირეწლოვანი გოგონა ბებიის ან დედის ხელმძღვანელობით ეუფლება თავისუფლის შედგენას და იკებანას საფუძვლებს. საგნის სახით იკებანას სწავლება საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებშიც სწავლება. დღეისათვის 2000 სპეციალური სკოლაა, სადაც დიასახლისები იკებანას ეუფლებიან. ამ ხელოვნების ძირითადი კანონია: ორი-სამი ყვავილისა და დეკორაციული ტონის ურთიერთშეხამება. ზოგჯერ კაშკაშა ფოთლებთან ათავსებენ ლამაზ ნაყოფებს, ნაირფერ ბალახებს, ადგილობრივ ფესვებს და ა. შ.

თავისუფლის შედგენისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი კანონები და წესები: თავისუფლი უნდა

დამოკიდებულია საერთო კომპოზიციაზე. ყვავილმა, ტონმა და თავისუფლის სხვა კომპონენტებმა დეკორაციული ღირსებით (ფერი, ფორმა, აღნაგობა) არ უნდა „გამოაძვირონ“ ერთმანეთი. მჭიდროდ ჩადგმული ყვავილები ულამაზოა და ყვავილების ბუნებას არ ეფარება. თანამედროვე თავისუფალი სულადა განლაგებული ყვავილებისაგან უნდა შედგებოდეს.

ლარნაკის შემზარადობა სასურველია თავისუფლის ფერის თანხვედრილი იყოს. ფერთა დამთხვევა (ლარნაკი და ყვავილი) ან გარდამავალი ფერების არსებობა თავისუფლს უფრო მოხდენილს ხდის. თუ ეს წესი დავიცავით, ნეიტრალური ფერის (თეთრი, შავი და რუხი) ლარნაკი უნდა შევარჩიოთ, ხშირი ტონებისა და ყვავილებისათვის ჭურჭელი შევარჩიოთ კაშკაშა და მჭახე ფერისა უნდა იყოს.

პროპორცია. თავისუფლსა და ლარნაკს შორის კანონზომიერება მყარდება, როდესაც ყვავილი ერთნახევარჯერ მაღალია ლარნაკზე და თავისუფლის სიგანე ერთნახევარჯერ ფართოა ჭურჭელზე. თეთრი ან ბაცი ყვავილები 2-3-ჯერ მაღალი უნდა იყოს ჭურჭელზე, ხოლო „მძიმე“ და მუქი ყვავილები ლარნაკის ყელს ქვემოთ თავსდება.

რიტმი. ეს ნიშანთვისება თავისუფლის ხარისხს უნდა ასახავდეს. საუკეთესო რიტმი თავისუფლი ფორმისა და ფერის მორიგეობა

ბას უნდა წარმოადგენდეს. მაგალითად, თავისუფლის ქვედა ნაწილში განლაგებული დიდი ყვავილები წვრილი ყვავილებით უნდა მოაფრებოდეს. ფერის მხრივ კი მყარად დან — კაშკაშამდე, ბაციდან — მუქ ტონამდე, უხეშიდან — მსუბუქამდე...

წონასწორობა. თავისუფლი ეს თანაფარდობა ყვავილსა და ჭურჭელს შორის უნდა დამყარდეს. სიმეტრიული წონასწორობის დროს თავისუფლის ყოველი ნაწილი ერთნაირი და ასიმეტრიულია, ე. ი. თავისუფლის ორივე მხარე გაწონასწორებულია, ოღონდ ერთმანეთს არ ემსგავსება.

მასშტაბი. ეს წესი გულისხმობს თანაფარდობისა და ოთახის კანონზომიერ თანაფარდობას ან ყვავილისას — ჭურჭელთან. ლამაზ თავისუფლი მასშტაბი ყოველთვის დაცული უნდა იყოს.

მზომის წარტილი. თავისუფლის საუკეთესო წერტილზე ყოველთვის არის გამახვილებული ყვავილის სილამაზე. ასეთი წერტილი თავისუფლი დიდი არ უნდა იყოს და მრავალი, თორემ შეიძლება თავისუფალი ძალიან დაიტვირთოს და სამწერადაც უსიამოვნო გახდეს.


ფერის ბარმონია. თავისუფლი ფერი აუცილებელ კომპონენტთაგანია. კარგია, როდესაც ფონი მუქი მწვანე ტონებისაგან შედგება და, წინა პლანზე, შედარებით ბაცი და კაშკაშა ფერები განლაგებული. თავისუფლი რომ ლამაზი გამოვიდეს, საჭიროა, უპირველესად, ყურადღება შევავციოთ მისი დამხმარე კომპონენტების შეფარდებას. ასევე უნდა დავადგინოთ ცალკეული ყვავილის შეფერვალების ტონი და მათი ურთიერთშეხამების კანონზომიერება, მის მიერ გამოწვეული ემოციური შეგავლენა აღმოაჩინო.

წარსულში, ხშილთაშუა ზღვისპირეთის სახელმწიფოების ზოგიერთი დეკორაციული ყვავილის ფერს ერთგვარ სიმბოლიურ მნიშვნელობას ანიჭებდა. მაგალითად, თეთრი ფერი ნიშნავდა — უდანაშაულობას, წითელი — სიყვარულს, მწვანე — იმედს, ყვითელი — ეჭვიანობას, ლურჯი — ერთგულებას, შავი — მგლოვიარობას.

თავისუფლის ხელოვნებაში და დეკორაციულ მებაღეობაში აღიარებულია სამი ძირითადი ფერი: ყვითელი, წითელი და ლურჯი. დანარჩენი ფერები და გარდამავალი ტონები მიღებულია მათი ურთიერთშეხამებით.

თავისუფლის შედგენისას უნდა გავითვალისწინოთ ფერის სწორი შეხამება. კარგად ეხამება: წითელი—მწვანე, ლურჯი — წითელი და ყვითელი, ნარინჯისფერი — ლურჯს, ყვითელი — ყვინფერი, სასურველი არ არის ფერების შეთანაწყობა, მაგალითად: წითელი — ნარინჯისფერი, იისფერი — წითელი. თავისუფლი მჭახე ფერის უგულვებელსაყოფად საჭიროა გამოვიყენოთ ე. წ. ნეიტრალური ფერები: თეთრი, შავი და მწვანე.

თავისუფლის არანაირებისა და ყვავილწუნ-



მ  
ე  
თ  
ე  
რ  
ე  
ს  
ი  
მ  
ი  
თ  
ე  
ბ  
ა

# როგორ შევაჩუქო ვ.ი.ლენინის სწავლას მუშაში

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალს, ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხიდან მრავალი წერილი მოსდის. ბიონერული რაზმეულების საბჭოები, სკოლის კომკავშირული ორგანიზაციები გვთხოვენ ვ. ი. ლენინის სასკოლო მუზეუმის მოსაწყობად გავუზღავნოთ ბელადის მხატვრული სურათების რეპროდუქციები, ფოტოასლები, მისი ხელნაწერების ფოტო პირები და ვურჩიოთ როგორ მოაწყონ ეს მუზეუმი. ძვირფასო ნორჩო მეგობრებო! ლენინის სასკოლო მუზეუმის, ოთახის ან კუთხის შექმნა ბელადის დაბადების მე-100 წლისთავს უნდა დავუკავშიროთ. იმისათვის, რომ ამ საქმიანობაში მთელმა სკოლამ მიიღოს მონაწილეობა, კლასების მიხედვით წინასწარ გაანაწილეთ თემები საჭირო მასალების შესაგროვებლად. თემები ასეთი შეიძლება იყოს:

- 1. ვ. ი. ულიანოვის (ლენინის) ბავშვობისა და სკოლის წლები;
- 2. ვ. ი. ულიანოვის (ლენინის) რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი;

3. ვ. ი. ლენინი — პროლეტარული პარტიის შემქმნელი;

4. ვ. ი. ლენინი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ბელადი და სულისჩამდგმელი;

5. ვ. ი. ლენინი — სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელი და სოციალისტური სამშობლოს თავდაცვის ორგანიზატორი;

6. ვ. ი. ლენინი — სოციალისტური მშენებლობის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი;

7. ვ. ი. ლენინი — ბავშვების და ახალგაზრდობის უახლოესი მეგობარი და სხვა;

ლენინის ოთახში შეიძლება იყოს ასეთი განყოფილებები:

- 1. ლენინი დ ჩვენი მხარე;
- 2. ლენინურ ადგილებში;
- 3. ლენინის სახე ხელოვნებაში;
- 4. ისინი დაჭილდობული არიან ლენინას ორდენით;
- 5. ლენინური პრემიის ლაურეატები და სხვ.

სტენდის გაფორმების დროს ცენტრში უნდა მოვთავსოთ ამა თუ იმ თემისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტი. მაგალითად, მესამე თემისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტი იქნება პარტიის პროგრამა, რომელიც მიღებული იყო პარტიის მეორე ყრილობაზე 1903 წელს. მეშვიდე თემისათვის — ვ. ი. ლენინის სიტყვა კომკავშირის მესამე ყრილობაზე.

გააშუქეთ როგორ მიმდინარეობს თქვენთან ლენინური ორწლადი და საკავშირო ექსპედიცია „ლენინის ანდერძის ერთგულნი ვართ“.

შეაგროვეთ მასალები ოქტომბრის რევოლუციის, სამოქალაქო და სამამულო ომების თქვენს თანამემამულე მონაწილეებზე და სოციალისტური შრომის ვეტერანთა შესახებ. მოსწავლეებს, რომლებიც ფოტოგრაფიით არიან გატაცებული, დაავალეთ გადაიღონ ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიის ზოგიერთი დოკუმენტი, ლენინის ხელნაწერები, ლენინის შრომების პირველი გამოცემის გარეკანები, ვ. ი. ლენინის და მისი ახლობლების დოკუმენტური ფოტოები. ამისათვის გამოიყენეთ ლენინის თხზულებათა სრული კრებული, ტომი 5-ე (რუსული გამოცემა), სადაც ნახავთ ლენინის ნათესავების ფოტოებსაც.

უფროსი კლასების მოსწავლეებს შეუძლიათ გააკე-

ლის კომპოზიციის შესაქმნელად აუცილებელია ვიცოდეთ ყვავილების დამახასიათებელი ფერი და შესაბამისი ტონის შერჩევა, თუ რომელი ფერის ყვავილები გამოვიყენოთ. თეთრი ფერის ყვავილებია: სუმბულო, იორდასალაში, ტიტა, ია, ლევკოინი, ნარჯინი, გვირილა, მაჩიტა, ლომის ყბა, ალისუმი, ასტერი, მიხაკი, ვერბენა, ლილილო, ფლოქსი, ვარდი, ქრიზანთემა, წინწყალა, შროშანა, სურნელოვანი თამბაქო, გეორგინი, ციციწი, ხმალა, ზიზილა; წითელი ფერის ყვავილებია: ფურისულა, ტიტა, სუმბული, ია, ხაშხაში, იორდასალაში, ვერბენა, მიხაკი, ვარდი, გეორგინი, ხმალა, ლომის ყბა, დედოფლის ყვავილი (ნასტურცია), ნემსიწვერა, მამლის ქორჩა, ლევკოინი, რენედა, ფალიო (სკაბიოზა), ფლოქსი, მაჩიტა, შროშანა, ასტერი, ნეგო (მელიხრიუმი), ქრიზანთემა; ლურჯი ფერის ყვავილებია: სუმბული, კონკიძელა, ცისთვალა, ციციწი,



„სილუბტი“.  
მუხის გამხმარი  
ტონის თაიგული.

მაჩიტა, ზამბახი, სონჯი, ასტერი; იისფერი ყვავილებია: ზამბახი, ია სამფერი, წყალი-კრეფია, ცოცხანა, ფლოქსი, ასტერი, გეორგინი; ყვითელი ფერის ყვავილებია: ფურისულა, ტიტა, ვარდი, მიხაკი, ზამბახი, შროშანა, ხვერდულია, გულუფთილა, ფლოქსი, ცელლოზია, გაილარდია, ლომის ყბა, ქრიზანთემა, ცინია, გეორგინი, ხმალა.

ყვავილებს მუდმივი ყურადღება ესაჭიროება. საჭიროა წყალი ყოველდღიურად გამოვუცვალოთ და ჭურჭელი სუფთად იყოს გარეცხილი. საყვავილე ღეროს ბოლო ნაწილები ყოველდღიურად უნდა შევაკვეციოთ. ამით უფრო აქტიურად ხდება ქსოვილებში წყლის შეღწევა. რაც შეეხება ლამაზად მოყვავილე ბუჩქებს (იასამანი, უცვეთელა, უასმინი), წყალში ჩაწყობამდე საჭიროა მათი საყვავილე ღეროს ნ სმ სიმაღლემდე დატბტყვა.

ყვავილს ლარნაკში მოქმენილი უნდა



100

თონ ასეთი რუკები: „აქ ცხოვრობდა და მუშაობდა ლენინი“; „დექტროფიკაციის ლენინური გეგმა“; „ჩვენნი მხარე ახალ ხუთწლიეში“ და სხვა. შეიძლება გააკეთოთ მაკეტებიც: „ვალოდია ულიანოვის ოთახი“; „ქოხი რაზლივში“; „ლენინის ოთახი სმოლნში“; „ლენინის საყვარელი ხეივანი გორკაში“; „ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი“ და სხვ.

ამ მუზეუმში შეიძლება გამოფინოთ ლენინის პორტრეტის საუკეთესო ნახატი ან ფოტორეპროდუქცია, რისთვისაც წინასწარ უნდა ჩაატაროთ კონკურსი მოსწავლეთა შორის. კარგი იქნება, თუ კონკურსს ჩაატარებთ თემაზე: „რომ მენახა ლენინი“.

მუზეუმს გაამდიდრებს ლენინზე გამოცემული წიგნების პატარა ბიბლიოთეკა და პლაკატები, მედლები, სამკერდე ნიშნები, მარკები, რომლებზეც გამოსახულია ლენინი.

თქვენი მუზეუმის ექსკურსმძღოლებმა კარგად უნდა შეისწავლონ ლენინის სიტყვა კომკავშირის მესამე ყრილობაზე — „ახალგაზრდობის კავშირის ამოცანები“. ნ. კ. კრუპსკაიას — „წერილები პიონერებს“ და სხვა.

ლენინის სასკოლო მუზეუმში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიკავოს კუთხემ „ლენინი და ბავშვები“. ამ კუთხის მოსაწყობად შეიძლება გადავიდეთ ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეექვსე ტომიდან პირველი ფურცელი — ვ. ი. ლენინის ხელნაწერი — „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამის პროექტისა“. (გვ. I). ამ პროექტში ბელადი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბავშვებისათვის ზრუნვის საკითხს (გვ. 17, 18). ამ კუთხეში შეგიძლიათ მოათავსოთ ლენინის სიტყვა კომკავშირის მესამე ყრილობაზე, სადაც ის ახალგაზრდობას მიმართავს. აქვე შეიძლება მოათავსოთ მხატვარ ბელოუსოვის სურათის — „ვ. ი. ლენინი კომკავშირის III ყრილობაზე“ — ფოტოსაზღვრული გამოიყენეთ კრებული „Ленин — товарищ, человек“ (1968 წ.). ამ კრებულიდან გადაიღეთ რამდენიმე წერილის და დეპეშის ტექსტი, რომლებიც გვაცნობს ლენინურ ზრუნვას სკოლების, საბავშვო სახლების, საბავშვო ბაღებისა და ბავშვთა ჯანმრთელობისათვის.

ბევრი საგულისხმო დოკუმენტის ფოტო შეიძლება გადაიღოთ კრებულიდან „Смена комсомола“ (1964 წ.). „კრასნაია პრესნიას“ პირველი პიონერული რაზმის

წერილი (1922 წ.) ვ. ი. ლენინის სახელზე გაგზავნილი. რუსეთის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიმართვა 1924 წლის 22 იანვარს „ბავშვთა ყველა კომუნისტურ ჯგუფებს, საბჭოთა კავშირის სოციალისტური რესპუბლიკების ყველა პროლეტარ ბავშვებს“; პიონერები ლენინის ცხედართან; ზამოსკოვჩიის პიონერები წითელ მოედანზე, 1924 წლის 28 მაისს; ნ. კ. კრუპსკაია პიონერებთან; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ვ. ი. ლენინის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ; პიონერულ ორგანიზაციას გადაეცა ლენინის ორდენი, 18 მაისი 1962 წ.

ამავე განყოფილებაში შეგიძლიათ მოათავსოთ ფოტოები საბჭოთა კავშირის გმირების, ლენინის ორდენოსანის პიონერების: ვალია კოტიკის, ზინა პარტნოვას, მარატ კავციას და ლონია გოლიკოვისა. უამრავი მუზეუმის მნახველის რით დაიმსახურეს მათ ეს დიდი ჯილდო.

ჟურნალ „სემია ი შკოლა“-ში № 4 (1968 წელი) არის რამდენიმე საყურადღებო ილუსტრაცია, რომლებიც თქვენც გამოგადგებათ: ვ. ი. ლენინის საწევრო ბილეთი № 1 საზოგადოება „დრუგ დეტეი“-სა; ჟურნალი „ბარაბანი“, რომელიც მოსკოვის პიონერებმა აჩუქეს ვ. ი. ლენინს და სხვა ნახატები. ჟურნალის ნომერში ნაჩვენებია ლენინისა და ბავშვების დიდი მეგობრობა.

ამ განყოფილებაში უსათუოდ უნდა აისახოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვა ბავშვებისათვის. ამისათვის გადაიღეთ თქვენს მხარეში აშენებული ახალი სკოლები, პიონერთა სახლები, ბანაკები, საბავშვო საავადმყოფოები, ბიბლიოთეკები, სანატორიუმები, ნორჩ ტექნიკოსთა სახლები და სხვა.

სასურველია, ვიდრე ვ. ი. ლენინის სასკოლო მუზეუმს მოაწყობდეთ, ინახულოთ ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში გახსნილი გამოფენა „ლენინი და ბავშვები“, ხოლო იმათ, ვინც ვერ მოახერხებს ამ გამოფენის დათვალიერებას, შემდგომ მოკლედ ვესაუბრებით ამ გამოფენის ექსპოზიციაზე.

თ. ცხველიანი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.



მუშრკი ნარი, მუშრკი მინის ღარნაპში.

ქმონდეს ლამაზი სახე, გამოირჩეოდეს დამახასიათებელი ფორმით, იგრძნობოდეს ცალკეული ყვავილის ნაწილი და ასახავდეს შინაარსს. მაგალითად, გეორგინის დიდყვავილა ფორმას ეხამება მიხაკი ან გვირილა. მიხაკის თაიგულს ეხამება სატაურის (ასპარაგუსი) ტოტები. რომლებიც ფაქიზი ყვავილის ფორმას, მკეროვნებასა და მწვანე ფონზე ასახვის საშუალებას იძლევა. თაიგულისათვის ღარნაკი უბრალო ფორმისა უნდა იყოს. თაიგულის კომპოზიციაზე მოქმედებს ზედმეტი სამკაული. ჭურჭელი შეიძლება იყოს: კერამიკული, ფაიფურისა, მინისა, ხისა, ლითონისა ან მოწნული. საუკეთესო შეხამება გვაძლევს გამმხარი ტოტების და ნაყოფების თიხის ჭურჭელში მოთავსება. ბალახისა და ვიწროფოთლებიანი თაიგული ღამაზად მოჩანს მინის გამჭვირვალე ჭურჭელში. ყვავილების განაწილება, სათანადო ღარ-

ნაკის გამონახვა და თაიგულის ბინაში განლაგება მოითხოვს მხატვრულ გემოვნებასა და სილამაზის შეგრძნებას. ყვავილსა და დეკორაციულ ტოტებს შორის პარამონიული შეთანაწყობა თაიგულის შექმნის ერთ-ერთი აუცილებელი პირობათაგანია. ეს შეხამება კანონზომიერების ძირითად ნორმებს არ უნდა სცილდებოდეს. მაღალი ყვავილები დიდი მოცულობის ჭურჭელში ჩაიდგმება, ხოლო პატარა და წვრილი ყვავილები — მომცრო ღარნაკში. ბინაში თაიგულების განლაგების დროს გასათვალისწინებელია ოთახის არქიტექტურული სტილი, კედლის შეფერავება, განათება, საყოფაცხოვრებო საგნების ფერი და სხვ. კარგად შეკონილი თაიგული ამახვილებს ყურადღებას იმ საგნებზე, რომლებზეც თაიგულია განლაგებული, რაც, ადვილი შესაძლებელია, უსაიგულოდ ძნელი შესამჩნევი იყოს. ბინაში თაიგულის განლა-

ჩაის სმაში დედამიწის ზურგზე პირველი ადგილი ირლანდიელებს ეკუთვნით: თითო კაცზე წელიწადში თითქმის 5 კილოგრამი ჩაი მოდის. ამ მხრივ ირლანდიელებმა ინგლისელებსაც კი გაუსწრეს.

**წყალქვეშა პოლიცია**

ამას წინათ საფრანგეთში წყალქვეშა პოლიცია შეიქმნა.

მისი მოვალეობა ის არის, რომ ზღვის თევზები აკვალიანებენ ბრაკონიერებისაგან დაცვას. პოლიციელები ზღვის თავზე ვერტმფრინავით გუშაგობენ და, როგორც კი თვალს მოჰკარვენ ბრაკონიერს, პირდაპირ თოკის კიბიდან ხტებიან წყალში. თუ საჭიროება მოითხოვს, 40 მეტრის სიღრმეზე ჩასვლაც შეუძლიათ.



**კრმალია ყველაზე აბტანი**

საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა გადაწყვიტეს გამოიანგარიშონ, რა ზარალს აყენებენ მოსავალს მავნებლები, დაავადებანი და სარეველა ბალახები. გამოიკვლიეს ორმოცი მცენარე — კარტოფილიდან დაწყებული მიწის თხილით გათავებული. მიღებული იქნა სავალალო ციფრები — შესაძლებელი მოსავლის შნ პროცენტი, ე. ი. ერთ მესამედზე მეტი იღუპება. ფულზე გადაანგარიშებით, ეს ზარალი 75 მილიარდ დოლარს შეადგენს.

ყველაზე ნაკლებ ამტანი შაქრის ლერწამი აღმოჩნდა. მისი 75 პროცენტი ვერ უძლებს მიკრობების, მწერებისა და სარეველების შემოტევას. სიცოცხლის ნაკლები შანსი აქვთ ბრინჯს, კაკოს, ყავას. მათი ნახევარი იღუპება. ჭვავისა მხოლოდ თოთხმეტი პროცენტი იკარგება. გამოკვლეულ მცენარეთაგან იგი ყველაზე ამტანი აღმოჩნდა.

გების დროს ყურადღებას ვამახვილებთ სასადილო მაგიდაზე, რომელიც უმეტეს შემთხვევაში, ოთახის შუაგულში დგას. სასურველია, პატარა მოცულობის თაიგულები მაგიდაზე დაბალ ლარნაკში იყოს მოთავსებული, რომ მაგიდასთან მსხდომთ ხელს არ უშლიდეს ერთმანეთის მწერასა და საუბარში; კარდაზე, დაბალ ტუმბოზე და ავეჯის სხვა სახეობაზე დაიდგას დიდი მოცულობის თაიგული. მაგალითად, იასამნის ყვავილების ფერი რომ გავაძლიეროთ და ფოთლის ფერმა ან შთანთქმას, იასამნის ტოტებს ფოთლები უნდა მოვაცალოთ. ამ გზით იასამნის თაიგული ფერისა და მოცულობის მიხედვით მიმზიდველი ხდება.

ვარდი, მიხაკი, ტიტა სასურველია განვალაგოთ ბროლის ან სხვა ძვირფასი სახის ლარნაკებში, ხოლო დაბალი ხარისხის ყვავილები: ფლოქსი, გაილარდია, გეორგინი, ციციონი, ფურისულა — თხის ჭურჭელში.

არ შეიძლება ჭაიგული ყველგან დავდგათ, სადაც კი მოგვესურება. ოთახის საგნებთან და საყოფაცხოვრებო ნივთებთან თაიგული გარკვეულ თანაფარდობაში უნდა იყოს. სასადილო მაგიდაზე შეიძლება ორი-სამი ყვავილისაგან შემდგარი, პატარა ლარნაკში ჩადგმული თაიგული დავდგათ. დაბალ მაგიდაზე შეიძლება საშუალო ზომის ჭურჭელი მოვთავსოთ, მაღალი და დიდი მოცულობის საყვავილე კი — იატაკზე. ასეთ ჭურჭელში ხშირად ღამაზე დადარეხილი, გამხმარი დეკორაციული ტოტიც იდგმება.

ლარნაკის ფორმა და მოცულობა აუცილებლად უნდა უპასუხებდეს ყვავილის ფორმასა და ღეროს სიმაღლეს. მაგალითად, ტან-მაღალი ხმალის, იასამნის, იორდასალამის ყვავილებისათვის საჭიროა მაღალყელიანი ლარნაკი. ფორმით დახვეწილი და ღამაში ფერის მძიმე და სქელი მინის ჭურჭელი ბინაში სილამაზის სამკაულია, როცა მასში მარტო რამდენიმე დეკორაციული ყვავილი კი არ არის ჩადგმული, არამედ მსხვილი და ბუთბუზა ყვავილებიც.

ლარნაკში თაიგული მყარად უნდა იყოს განლაგებული. ყვავილების დასამარგებლად შეიძლება გამოვიყენოთ ხავსი ან ფოთლები, რომელსაც ათავსებენ წყლიან ჭურჭელში, ზოგჯერ სილასაც ყრიან ხოლმე. ასეთ „საყრდენებზე“ მყარად დამარგებული ყვავილი სასურველ წერტილში შეიძლება განვალაგოთ.

ყვავილსაყრდენის საიმედო სახეა მავთულხლართი ან სპეციალური საყრდენი. იგი შეიძლება დამზადებული იყოს თუთიის, კერამიკის, პლასტიკის და სხვა შედარებით მძიმე მასალებისაგან, რომლებსაც უკეთდება ყვავილის ღეროს მოსათავსებელი ხვრელები. შესაძლებელია თუთიის ან რამიმე მძიმე მასის ნაჭერს გაუკეთდეს ლურ-მზნებისა და ქინძისთავების წრიული ჩგუფი, რომ წყლიან ლარნაკში მოთავსების შემდეგ, „ნემსა“ საყრდენზე ყვავილები წაშვავათ. ყვავილების საყრდენი სასურველია ცისფრად შეიღებოს ან შეესაბამებოდეს ლარნაკის ფერს.

**შალვა ისპაჰი,**  
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.



**მ ი მ ო ზ ა**

ამ მცენარეს დედამიწის ორივე ნახევარსფეროზე, უმთავრესად ტროპიკებში ვხვდებით. ბრაზილიაში სათბურშიაც მოჰყავთ. ოთახის პირობებში ძნელად ხარობს, რადგან ჰაერის სიმშრალის გადატანა უძნელდება. მიმოზა 50-60 სმ. სიმაღლის ნახვოთლები მცენარეა. საქმარისია მის ფოთოლს ოდნავ შევეხოთ, რომ იგი მყისვე გაღიზიანდეს და ერთ წამში მთელ სიგრძეზე დაიკეცოს. ფოთლის ეს თვისება თავდაცვის თვისებური საშუალებაა: ისე, როგორც სხვა მცენარეებს, მიმოზასაც სხვა მცენარეები ნაზი და გემრიელი ფოთლების

საწუწნავად. როგორც კი მწერი ღეროზე აცოცდება და ფოთოლს მიეტანება, ფოთოლი უცებ შეიკუმშება, დაიკეცება, რის გამოც, დაუპატიჟებელი სტუმარი ძირს ვარდება. ზოგიერთი თავგამეტებული მწერი რამდენჯერმე სცდის ბედს, მაგრამ ყოველთვის „პირში ჩაღაგამოვლებული“ რჩება.

მიმოზას ფოთლები ღამე დაკეცილი აქვს, დილით კი, ჩვეულებრივ, გაშლილი.

სახელი „მიმოზა“ ბერძნული „მიმოზისაგან“ არის წარმომდგარი და მიმბაძველს, მსახიობს ნიშნავს.

**უ ნ ა ბ ი**

უნაბი 5-8 მეტრი სიმაღლის ხეა. ფოთოლი ყოველ წლიურად სცივია. მის-ივნისში ყვავილობს, ყვავილი წვრილი და სურნელოვანი აქვს. ნაყოფს დარგვიდან მესამე წელიწადს იხსამს. სექტემბერ-ოქტომბერში მწიფდება.

უნაბი ფართოდ არის გავრცელებული ინდოეთში, ირანში, ავ-

მიწისქვეშა კვარტალი

ესპანეთის ქალაქ კადიჯის ბოშათა კვარტალი, სადაც ათი ათასამდე მოსახლე ცხოვრობს, მთლიანად გამოკვებულეშია მოთავსებული. მიწის ქვეშ მარტო საცხოვრებელი სახლები კი არ არის, არამედ — დუქნები, სკოლები და ეკლესიებიც. ამ გამოკვებულეში ზაფხულობით გრილა, ზამთარში კი შედარებით თბილა. ესპანეთის მძიმე საბინაო პირობებში ასეთი „სახლები“ განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს, რადგან მათი მობინადრენი ბინის ქირას ნაკლებს იხდიან.

ძარი, ძარი, ძარი...

სსრ კავშირის ევროპულ ტერიტორიაზე ძლიერი ქარი უმეტესად იანვარ-თებერვალში უბერავს, ყველაზე სუსტი ქარი ზაფხულში თვეებშია. აღმოსავლეთ ციმბირის ზოგიერთ ადგილას კი პირიქით ხდება: ზამთარში სუსტი ქარი ქრის, ხოლო ზაფხულში ძლიერი.

ყველაზე ძლიერი ქარი ვიქტორიის მიწაზე იცის. იგი აქ მთელი წლის განმავლობაში ქრის და ხშირად წაშში 80 მეტრის სიჩქარეს აღწევს.

ატმოსფეროში უძლიერესი ქარი 20 კმ სიმაღლეზე შეიმჩნევა. მისი სიჩქარე წაშში 100 მეტრია, ე. ი. საათში 360 კილო-

მეტრი. ამ ქართან თვითმფრინავებს უწევთ ხოლმე შერყინება.

სად ქრის ყველაზე სუსტი ქარი? დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ტროპიკული ტაიფუნის შუაგულში ნიაფიც კი არ იძვრის. ტაიფუნის ამ „ნაწილს“ „ციკლონის თვალს“ ეძახიან, მისი დიამეტრი 20-50 კილომეტრია.

მეტეოროლოგები ქარის სიმძლავრეს 12 ბალიანი შკალით ზომავენ. თორმეტბალიანი ქარის სიჩქარე მხოლოდ თვითმფრინავის სისწრაფეს თუ შეედრება. შკალაზე მე 18 ბალი არ არის და, რა უზარმაზარი ძალისაც არ უნდა იყოს გრივალი, მას თორმეტი ბალით აღნიშნავენ.


აღამიანის დანახვა...

ერთ-ერთ ამერიკულ ლაბორატორიაში გამოარკვეეს, რომ აღამიანის დანახვაზე ძალის სხეულის ტექნოლოგია სამი-ოთხი გრადუსით მატულობს. ლაბორატორიის თანამშრომლები ახლა იმაზე იმტვერვენ თავს, როგორ გამოიყენონ ეს აღმოჩენა...

ჩუმად! ცხენები ისვენებენ!

კარგა ხანია, ძაღლებისთვის სასტუმროები არსებობს, კატებისთვისაც არის პანსიონატები, მაგრამ ცხენებისათვის საჩინბოს

ნეტი აქამდე არაფერი ყოფილა. და აი, ეს ხარვეზი შეავსო ერთმა ამერიკელმა, გვარად ჰენდრიქსმა. მან ლოს-ანჯელოსში გახსნა სასტუმრო ცხენებისათვის, სადაც ამ სასტუმროს „კლიენტებს“ შეუძლიათ დაისვენონ, სანამ დიდი დაიწყებოდეს.



ხუმრობა მისსაც სცოდნია...

ეს ამბავი ვენაში მოხდა. ტროტუართან მღვარი ავტომობილის ანტენას მუხი დაეცა და, ჰოი, საოცრებაც! — ელექტროდენის მძლავრმა მუხტმა სტარტერი ჩართო; ავტომანქანა დაიძრა, ერთხანს იარა, მერეც სახლის კედელს დაეჯახა და დაიმტვრა.

დანეთსა და კალიფორნიაში. მისი წვრილნაყოფა ჩიშები გვხვდება ამიერკავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკებში. უვნებლად იტანს 30 გრადუსამდე ყინვას. უხვ მოსავალს იმ მიდამოებში იძლევა, სადაც ცხელი, მშრალი და ხანგრძლივი ზაფხული იცის.

როგორც სამკურნალო საშუალებას, უნაბის ნაყოფს ჯერ კიდევ შორეულ წარსულში იყენებდნენ ფილტვების კატარულ და ტუბერკულოზურ დაავადებათა წინააღმდეგ; კარგ შედეგს იძლევა წნევის დასაწევადაც. ახალმოკრეფილი უნაბი შაქარს 20-22 პროცენტამდე შეიცავს, გამომშრალი (ჩირი) კი 60-70 პროცენტამდე.

უნაბის ნაყოფი გარეგნულად ინდის ხურმას წაავას. ამიტომ მას ჩინურ ინდის ხურმასაც უწოდებენ. ნაყოფი კურკიანია. ოდნავ ფქვილისებური, გემრიელი; ზოგი მრგვალია, ზოგი — ოვალური. ან მსხლისებური.

დარგვიდან 10 წლის შემდეგ უნაბი უფრო და უფრო ნაკლებს იხსამს..

# აუზონა

— დღესაც ორიანი მივილია, შვილო. იქნებ მასწავლებლის შეკითხვას ვერ იგებ?

— არა, მამიკო, ის ვერ იგებს ჩემს პასუხს.

მასწავლებელი: მითხარი, ვილი, რა იცი, რომ დედამიწა მრგვალია და არაფერს ეყრდნობა, როგორ დაახაბუთებ ამას?

მოსწავლე: როდის ვამტყუებდი, რომ დავასაბუთო!

სკოლიდან დაბრუნებულმა პატარა ოტომ დედას ახარა:

— დედიკო, დღეს ბედმა გამილიმა.

— რა ბედმა, შვილო? — ჰკითხა დედამ.

— მასწავლებელს უნდოდა კუთხეში დავეყენებინე, მაგრამ ოთხივე კუთხე დაკავებული აღმოჩნდა.

მასწავლებელი: აბა, მითხარი, რა ფორმისაა დედამიწა?

მოსწავლე: მრგვალია, ბატონო მასწავლებელო.

მასწავლებელი: რა იცი, რომ მრგვალია?

მოსწავლე: გლობუსიც ხომ მრგვალია!

პეტერი მდინარის პირას თევზაობდა. ამ დროს მგზავრმა ჩაიარა და, როდესაც ბიჭმა ანკესი ამოწია, დაინახა, რომ ზედ ვაშლი ება.

— ანკესზე ვაშლი ვის გაუგია, ქია უნდა გამოაბა, — დაარიგა მგზავრმა.

— ჰოდა, სწორედ ქიანის, — უჩვენა პეტერმა ვაშლი.

— ჰანს, დღეს კინოში რატომ არ იყავი?

— დრო არ მქონდა, მამას ვესმარებოდი ჩემი საშინაო დავალების შესრულებაში.




**როგორ უნდა  
გამოვაძროთ ხიწვი**

ალბათ არავინ იქნება ისეთი, ვისაც ხიწვი არ შესობოდეს და არ ეცადოს მისი ამოღება. აი რამდენიმე რჩევა იმათთვის, ვისაც თავისდაუნებურად მოუწევს ამ იოლი ქირურგიული ოპერაციის შესრულება. ხიწვი მთლიანად უნდა ამოაძროთ, კანქვევ ერთი ციკქნაც რომ ჩაგრჩეთ, დაიჩრქება მოწყვეტა. ვიდრე ხიწვის

ამოძრობას შეუდგებოდეთ, ხელები კარგად უნდა დაიბანოთ. შემდეგ ხიწვის ირგვლივ კანი სპირტში დამბალი ბამბით უნდა გაიწმინდოთ. ხიწვის ამოღებამდე კანზე იოდის წაცხება არ არის საჭირო, რადგან კანი წითლად იღებება და უცხო სხეული ძნელი შესამჩნევია. თუ ხიწვს ბოლო უჩანს, მას პინცენტი უნდა ჩაავლოთ და გამოაძროთ. ეს ფრთხილად უნდა ჰქნათ, ისე, რომ ხიწვი არ ჩატყდეს, თორემ მერე ჩარჩენილი ნაწილის ამოძრობა გაგიჭირდებათ. თუ ხიწვი ღრმად არის შესობილი, მისი ამოძრობა ნემსით შეიძლება. ნემსი წინდაწინ უნდა დამდულდროთ და სპირტში გაავლოთ, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ასანთის ალზე გაატაროთ.

გაცილებით ძნელია ფრჩხილქვევ შესობილი ხიწვის ამოძრობა. ფრჩხილქვევ შესობილი ხიწვი, ხშირად კანს აჩრქებს, რასაც ძლიერი ტკივილი მოსდევს. თუ ხიწვს ფრჩხილქვევიდან მოუჩანს თავი, მისი გამოძრობა პინცენტით შეიძლება. მაგრამ, ხშირად, ხიწვის თავის



გამოსაჩენად ფრჩხილის ჩაჭრაა საჭირო. თუ ხიწვს თავი მაინც არ გამოუჩნდა, ფრჩხილი გაფხიკეთ და ხიწვი ისე გამოაჩინეთ. იმისათვის, რომ ტკივილი გაიყუჩოთ, თითზე ჩა-

ლიჩი მოიჭირეთ. როცა თითი გაბუყდება ტკივილი დაიკლებს და სისხლისდენა ხიწვის გამოღებაში ხელს არ შეგიშლით. ხიწვის ამოძრობის შემდეგ კანზე იოდი ან სპირტი წაიციხეთ და თითი შეიხვიეთ.

ზოგიერთი პროდუქტი მზის შუქს ვერ იტანს, ამიტომ ისინი დახურულ ჭურჭელში უნდა შეინახოთ. პირველ რიგში ეს ეხება: ჩაის, კაკაოს, ყავას, საკვებ კონცენტრატებს, საკონდიტრო ნაწარმს, თაფლს, ბურღულს, მაკარონს. შუქი ცუდად მოქმედებს მცენარეულ და ცხოველურ ცხიმებზე, შედეგად რძეზე, ყველზე, ხილზე; კარტოფილი და ხახვი კი, გაფუჭება რაა, შუქზე ღვივდება და კილი გამოაქვს.

**ს ა კ ი ე ბ ე ლ ი**

ს. შამჭრინანი — ამ ულამაზეს დღეს (ღექსი) გარეც.	2	მ. შამცაველიძე	22
ძ. ზილაშვილი — მწმ (ნარკვევი)	2	ზ. ლუშაშვილი — სოქთან სოფელია (ფოტორეპორტაჟი)	24
ახლა რომ თოთხმეტი წლისა ვიყო	4	შ. ისაბაძე — თაიგული და მისი შედგენა (წერილი)	26
ბ. კახაბიძე — იცოცხლე პაპავ, იცოცხლე; ჩვენი ჭიკჭიკა ჩიტი (ღექსები)	7	თ. ცხვედიანი — როგორ მოვაწყოთ ვ. ი. ლენინის სასკოლო მუზეუმი (წერილი)	28
შ. დავითაშვილი — მაყვალზე (მოთხრობა. დასასრული)	8	ქ ა დ ო ს ნ უ რ ი ს ა რ კ ე	30
ლ. ზინდაძე — იოსებ გრიშაშვილი (მოგონება)	14	ბ უ ნ ე ბ ი ს კ ა რ ი	30
თ. კვიციანი — არქიტექტურა „გაქვავებული მუსიკა“ (წერილი)	19	ი უ მ ო რ ი	31
ხატია ბიულნაშვილი — პატარა პიონერი (მოთხრობა, თარგმან)		გ ა მ ო გ ა დ გ ე ბ ი	32

გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვნის მხატვარ ბაბაკი თევზაძეს.

მთავარი რედაქტორი **ბაბუღია შვილია**.  
 სარედაქციო კოლეგია: **ფილიპე ბერიძე, შოთა ბაბუღია, ნოდარ გუგუშვილი, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, შურგან ლეონიძე, ზურაბ ლუშაშვილი (პ/მგ. მდივანი), მარიკანი, თენგივ სამსონაძე, ბაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).**

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 93-94-88 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-94-87 93-53-05 განყოფილებების — 93-94-29	საქ. კა ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14. « <b>ПИОНЕРИ</b> », на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14. გადაეცა ასაწყობად 18/III-69 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/IV-69 წ. ქალაქის ფორმატი 60x90/8. ფიზიკური ნაბეჭდი ღურცელი 4. პირობითი 4. შეკვ. № 864. ტირ. 108.700. უფ 00725	ფასი 20 კაპიკი
--	--	----------------------

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.


**ხუთი, ხუთი და ექვსი**

ამ ექვს სურათზე სხვა-დასხვა საგნები და გეომეტრიული ფიგურებია დახატული: ხუთი გასაღები, ხუთი სამაგრი, ხუთი ჭიკარტი და ა. შ. მხო-

ლოდ ერთი საგნის გამოხატულება გვხვდება ექვსჯერ. თუ ხუთ წუთში მიხვდები რომელია ეს საგანი კარგი მხედველობითი მეხსიერება გქონია.




**ქ რ ო ს ვ ო რ დ ი**




ვერტიკალურ სვეტებში ჩაწერეთ მუსიკალური საკრავების სახელები, ისე რომ მუქ ჰორიზონტალში მიიღოს დიდი რუსი კომპოზიტორის სახელი და გვარი.

რეპაზ ბაგუა.  
ქ. ზუგდიდის XI საშ. კოლის VIII კლასის მოსწავლე.



**ბადაბალური განძი**

ამ ნახატზე მიწისქვეშა ლაბირინთია გამოსახული. ერთ-ერთ ოთახში განძია გადამაღული. განძის ძებნა უნდა დაიწყოთ ერთ-ერთ განაპირა ოთახიდან. ყველა კარი თითოჯერ უნდა გაიაროთ და კარი, რომელსაც ბოლოს გაივლით განძსაცავის კარი იქნება.



**პ ა ს უ ხ ე ბ ი  
რ ო მ ო რ ბ ა მ ო უ ?**

სამლიტრიანი დოქით კასრიდან წყალი შვიდლიტრიან დოქში გადასხი და გაავსე (ყოველი ჩასხმის წინ სამლიტრიანი დოქი სავსე უნდა იყოს). ამის მერე კასრში 1 ლიტრი წყალი იქნება, შვიდლიტრიან დოქში — 7, სამლიტრიან დოქში კი — 2 ლიტრი წყალი. ახლა, შვიდლიტრიანი დოქიდან წყალი უკან, კასრშივე ჩაასხი, ხოლო ცარიელ შვიდლიტრიანში გადმოასხი სამლიტრიან დოქში დარჩენილი 2 ლიტრი წყალი. ამის შემდეგ კასრიდან სამლიტრიანი დოქით შვიდლიტრიან დოქში სამი ლიტრი წყალი გადმოასხი. ამრიგად, კასრში 5 ლიტრი წყალი დარჩება, შვიდლიტრიან დოქშიც 5 ლიტრი გახდება.

**ქ რ ო ს ვ ო რ დ ი**

- ვერტიკალურად: 1. ჭადრაკი; 2. ინგლისი; 3. არამისი; 4. ბახმარო; 5. სანეევი; 6. ბარათაშვილი; 7. ლეკვი-შვილი; 8. სანგაში; 9. შლიმანი; 10. ფანჯარა; 11. იმერელი; 12. რადიუსი; 13. ჰიმალაი; 14. ლიბერია.
- ჰორიზონტალურად: 6. ლარსენი; 7. მარტი; 8. ყარათაუ; 9. ნემსი; 10. იკაროსი; 11. კრაკოვი; 12. დარიალი; 13. სასტიაგო; 14. აშნისტა; 15. ამირანი; 16. ბარიუმი; 17. სიცილია; 18. თხილი; 19. ორაგული; 20. მესხი; 21. კალორია.



8 29/92




# კახეთის მხარის მცენარეობა



იპ




ცისტოლა



ზაფრანა




ზამზანი  
მართული




ჟორჯარა



ფურისულა



ანძელა



თეთრი  
შვავილი



ჩიტისთავა